# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


ოთხშაბათი, 11 თებერვალი, 2009 წელი.

№ 25 (6126)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# ამერიკა მოსკოვს საკმაოდ მკაცრად დაუპირისპირდა





ძნელი არ არის იმის პროგნოზირება, თუ რა საგარეო გამოხმაურება და შედეგები მოჰყვება მოვლენების განვითარებას ორივე, ერთი ან მეორე ჯგუფის გამარჯვების შემთხვევაში. უკვე წლეულს ჩვენ რუსეთში საკმაოდ დრამატული მოვლენების მომსწრე გავხდებით.

3



5

# აქი გადაჰქარდაო ეს საოხრე?!

ვინ ორპირობს - „დიდი ბატონი“ თუ „მოურავი“, ანუ ქვეყნის პირველი პირი თუ რანგით მეორე დიდმოხელე?

# ვადამდელი არჩევნები არ იქნება



2

# დევნილებშიც ყოფილან „პრივილეგირებულნი“

# მიუნხენის პასაჟები

თბილისში უნდა გაიგონ, რომ რუსეთისთვის, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის მიმდინარე ეტაპზე მრავალ ძალას, სახელმწიფოს თუ ალიანსს სჭირდება, ყურის აწევა სრულებითაც არ ნიშნავს საქართველოს შექებას.



4

# ჯერ კიდევ XII საუკუნეში დაწყებული...



6-7

სახელმწიფოს მმართველობის ფორმები და მონარქიის აღდგენის პერსპექტივები საქართველოში

ზურაბ ვაზაგაშვილის დაბადების დღე საპროტესტო გამოსვლით აღნიშნეს

# განა ასე უბრალოდ დასაკარგი შვილები გვყავს, რა გვემართება?!

2



პოზიცია

# ზურაბ მელიქიშვილი: ვადამდელი არჩევნები არ იქნება

**პარლამენტმა ახალი მინისტრთა კაბინეტი და მთავრობის სამოქმედო პროგრამა დაამტკიცა. ხელისუფლება სიღარიბესთან ბრძოლას ახალი ენერგიით იწყებს, თუმცა ოპოზიციაც განახლებული ენერგიით გეგმავს საპროტესტო ტალღას სააკაშვილისა და მისი გუნდის წინააღმდეგ. საინტერესოა, რომელი მხარე გადაძლევს, ხელისუფლება, რომლის ახალი პროგრამის ძირითადი ნაწილი სოციალურ პროექტებს მოიცავს, თუ ოპოზიცია, რომელსაც საკუთარი გეგმების განსახორციელებლად ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილი ხალხი სჭირდება? ამ საკითხებზე „ჯი-ეიჩ-ენს“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი, პარლამენტის საფინანსო და საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილი ესაუბრა.**

**— როგორ შეაფასებთ ახალ მინისტრთა კაბინეტს?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ პროგრამა, რომელიც წარმოდგენილია ახალი მთავრობის მიერ, ორიენტირებულია უშუალოდ იმ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც დღეს მთელ მსოფლიოსთან ერთად საქართველოც დგას. ეს არის გლობალურ ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებული სამუშაო ადგილების შენარჩუნების პრობლემა. ჩვენი პროგრამის ძირითადი მიმართულებები ეს არის, ერთი მხრივ, შენარჩუნება და გადარჩენა არსებული სამუშაო ადგილების და, მეორე მხრივ, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება ეკონომიკური კვლავწარმოებისთვის. წლევანდელი წლის განმავლობაში ამ პროექტებში ჩაერთვებიან და დასაქმდებიან ადამიანები. მესამე მიმართულება ეს არის საინვესტიციო და საგადასახადო გარემოს უფრო მეტად გაუმჯობესება, რომელიც ხელს შეუწყობს პოტენციური ინვესტორების მხრიდან საქართველოში ინვესტიციების განხორციელებას. ამ კუთხით გავამახვილეთ ყურადღება აშშ-სთან დადებული ქარტიის ეკონომიკურ ბლოკში ჩამოთვლილ საკითხებზე, მათ შორის ეს არის თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები. ამ მიმართულებით უნდა გააქტიურდეს მუშაობა, იმიტომ, რომ ეს არის პოტენციური ინვესტორისთვის მაინიცირებელი ფაქტორი.

მთავრობის ახალ პროგრამაში გათვალისწინებულია სოციალური მიმართულებები. მინდა გითხრათ, რომ 2009 წლის ბიუჯეტში ჯანდაცვისა და სოციალურ ბიუჯეტზე გაწერილია 1 მილიარდ 600 მილიონი. რა თქმა უნდა, პენსია მცირეა, პედაგოგების ხელფასები არ არის მაღალი, მაგრამ ამ ეტაპზე მხოლოდ ამის შესაძლებლობას გვაძლევს ბიუჯეტი.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ წლეულს პენსიების ზრდის ტენდენციას ვინარჩუნებთ, ამავდროულად, იზრდება პედაგოგების ხელფასი. სოციალური დახმარების პაკეტი მთლიანობაში რომ განვიხილოთ, სოციალურად შეჭირვებული ადამიანებისათვის ერთსულიან ოჯახზე გამოყოფილია 30 ლარი, ყოველ დამატებით სულზე ადრე იყო 12 ლარი, ახლა ამ თანხასაც ვზრდით და ახლა ეს თანხა უკვე 24 ლარს შეადგენს. გარდა ამისა, სახელმწიფოს მიერ დაზღვეულ ბენეფიციართა რაოდენობა გაზრდილია, შარშან ჩვენ 700 ათასი ბენეფიციარის დაზღვევა შევძელით, წლეულს სახელმწიფო 900 ათას ბენეფიციარს დააზღვევს. ასევე, არის მთელი ზოგიერთი პროექტი, რომლებსაც დაზღვევა არ აფინანსებს და ასეთი კატეგორიის მოსახლეობისათვის გათვალისწინებულია სახელმწიფო პროგრამები.

**— არასაპარლამენტო ოპოზიცია პრეზიდენტის გადადგომას და ვადამდელი არჩევნების ჩატარებას ითხოვს. თქვენ, როგორც უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, რა არგუმენტებს დაუპირისპირებდით ამ მოთხოვნებს?**

— ოპოზიციას ვთავაზობთ თანამშრომლობას ყველა საკითხზე, ვთავაზობთ, ერთად შევიმუშაოთ ის გეგმები, რომელიც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის დასაქმებას შეუწყობს ხელს და ააღორძინებს ეკონომიკას. ჩვენ ამ თემებზე ყველასთან სათანამშრომლოდ ვართ მზად და აქედან გამომდინარე, პირადად ჩემთვის მათი მოთხოვნები გაუგებარია.

**— იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციამ კვლავ აქციებს მიმართა და ამ ფორმით შეეცადა ხელისუფლებაზე ზეწოლას, თქვენი აზრით, რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ?**



— ჩემთვის პირადად მთავარი ამოცანა არის ის, რომ მოსახლეობის დასაქმებისათვის ბევრი გავაკეთოთ. ამაზე არის ორიენტირებული ბიუჯეტი, ამაზე არის ორიენტირებული ახალი პროგრამა და ამაზე არის ორიენტირებული ჩვენი ყოველი დღე. აქედან გამომდინარე, მე უფრო მეტად ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ შეიძლება მაქსიმალურად შევინარჩუნოთ და გადავარჩინოთ სამუშაო ადგილები, რა უნდა გაკეთდეს დამატებითი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს მეტი დახმარება გაეწიოთ. პირადად მე ამაზე ვარ ორიენტირებული.

**— ხშირად არის საუბარი იმაზე, რომ დღეს საქართველოს ჰყავს სუსტი საკანონმდებლო ორგანო. როგორ შეაფასებდით პარლამენტის მუშაობას?**

— მინდა გითხრათ, რომ მარტო ჩემს კომიტეტში ექვსი თვის განმავლობაში განხილულია 77-მდე საკითხი. მარტო საგაჭო კოდექსში 220 ცვლილება შევიტანეთ, სადაც მთელი რიგი ისეთი ცვლილებებია, რომელიც ერთი მხრივ, ლიბერალიზაციას, მეორე მხრივ, საჯარიმო სანქციების შემცირებას უწყობს ხელს. განხილული იყო 2008 წლის ბიუჯეტში არაერთი ცვლილება, სერიოზული კონსულტაციების საგანი იყო 2009 წლის ბიუჯეტის ის პროექტი, რომელიც პარლამენტმა დაიწუნა. აქედან გამომდინარე, მე ნამდვილად არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ამას ვერ ხედავენ.

**— ბევრს საუბრობენ ექსპერტები ქვეყანაში შექმნილ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კრიზისზე. თქვენ როგორ შეაფასებდით არსებულ ვითარებას?**

— მე გეტყვით, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა და საზრუნავი არის არსებული სამუშაო ადგილების შენარჩუნება. დღეს ჩვენ თვითონ ვთავაზობთ ინვესტორებს, რომ თანხა ჩადონ, მეორეა, როდესაც პოტენციური ინვესტორი აფასებს ბიზნესგარემოს, რისკებს, მათ შორის, სად უფრო ლიბერალურია საგადასახადო პოლიტიკა, საქართველო მათთვის მიმზიდველი უნდა იყოს. ეს არის ჩვენთვის მთავარი და ჩვენ ვცდილობთ ამისათვის სრული ძალისხმევა გამოვიყენოთ. რაც შეეხება შეფასებებს, ნებისმიერ ადამიანს აქვს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების უფლება.

**— რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს. არსებობს ინფორმაცია, რომ ხელისუფლება მზად არის ჩაატაროს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები...**

— კონსტიტუციით განსაზღვრული ვადის მიხედვით, პრეზიდენტის არჩევნები 2013 წელს გაიმართება, პარლამენტისა — 2012 წელს, 2010 წელს უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, 2009 წლის შემოდგომაზე იქნება იმ მაჟორიტარულ ოლქებში არჩევნები, საიდანაც დეპუტატები გადავიდნენ სხვა სამსახურში. მანამდე არჩევნები არ იქნება.

ესაუბრა
**რიტა ყაველაშვილი**

ინფორმაცია

## აფეთქებას რუსი სამხედროები ემსხვერპლნენ

**აფეთქება მოხდა გუშინ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში.**

**როგორც იუწყებიან, აფეთქდა ორი რუსული სამხედრო მანქანა, რომლებითაც იარაღი გადაჰქონდათ.**

**სავარაუდოდ, აფეთქების მიზეზი გახდა შეიარაღების და ასაფეთქებელი მოწყობილობების არასწორი განლაგება სამხედრო მანქანების ძარაზე.**

**თავდაპირველად აფეთქდა წინ მიმავალი ავტომანქანა. აფეთქების ტალღა იმდენად ძლიერი იყო, რომ მეორე ავტომანქანის აფეთქება გამოიწვია.**

**აფეთქების შედეგად ავტომანქანებში რუსი ჯარისკაცები დაიღუპნენ.**

## დევნილობაშიც ყოფილან „პრივილეგირებულნი“

**„ქრისტიან-დემოკრატები“ დევნილებთან კომუნიკაციის პრობლემაზე კიდევ ერთხელ საუბრობენ.**

**როგორც პლენარულ სხდომაზე „ქრისტიან-დემოკრატმა“ გიორგი ახვლედიანმა განაცხადა, მას მიმართეს 16ნ-ე ბაგაბაღში ჩასახლებულმა დევნილებმა, რომლებსაც გათიშული აქვთ ელექტროენერგია.**

**დევნილთა ინფორმაციით, მათზე ამ მეთოდით ხორციელდება ზეწოლა და ბაღის შენობის დატოვებას აიძულებენ. დევნილები ამბობენ, რომ მათი გამოსახლების შემდეგ შენობაში სხვა, „პრივილეგირებული“ დევნილების შესახლება იგეგმება.**

**დეპუტატმა ისაუბრა, რომ ამ დევნილებთან ხელისუფლებიდან არავინ მიდის, არავინ ელაპარაკება და არავინ უხსნის, თუ სად უნდა განსახლდნენ და რატომ.**

**აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს კობა სუბელიანს სწრაფი რეაგირებისკენ მოუწოდა.**

ინტერპრესნიუსი

აქცია

# განა ასე უბრალოდ დასაკარგი შვილები გვყავს, რა გვემართება?!

## ზურაბ ვაზაგაშვილის დაბადების დღე საპროტესტო გამოსვლით აღნიშნეს

**საქართველოში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არა ერთი გახმაურებული მკვლელობა მოხდა, მაგრამ პოლიტიკური ელფერი მხოლოდ რამდენიმე მათგანმა მიიღო. ერთ-ერთი ზურაბ ვაზაგაშვილის საქმე იყო: 2006 წელს 22 წლის ბიჭი პატრულის თანამშრომლებმა კორტებთან ჩაცხრილეს. იმ დღიდან თითქმის სამი წელი გავიდა, თუმცა რეალური მიზეზი ჯერაც არ არის ცნობილი. საზოგადოების მხრიდანაც ინტერესი არ შენელებულა. ადამიანის უფლებათა დამცველები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციური პარტიები და, რა თქმა უნდა, მოკლულის ოჯახის წევრები არაფრის დაწყებას არ აპირებენ. ისინი დღემდე სამართლიანობის აღსადგენად და დამნაშავეთა დასასჯელად იბრძვიან.**




ყურადღების მიპყრობას კი სხვადასხვა საშუალებით ცდილობენ. ამჯერად ზურაბ ვაზაგაშვილის დაბადების დღეს პროტესტის გამოსახატავად კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ მკვლელობის ადგილზე. აქცია დამოუკიდებელ ადვოკატთა პროფესიული კავშირის ინიციატივით გაიმართა, მასში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საზოგადოებისთვის ცნობილი პირები მონაწილეობდნენ.

აქცია სამ საათზე იყო დაგეგმილი, მაგრამ ხალხმა სანაპიროზე, კორტებთან შეკრება ადრევე დაიწყო. მკვლელობის ადგილზე უამრავი სანთელი დაანთეს. აქციის დაწყების შემდეგ კი ადვოკატებმა რადიკალური განცხადებები გააკეთეს.

— სამწუხაროა, რომ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ყოველგვარი ძალადობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და ამას ელიტური პოლიტიკური წრეები მფარველობენ. შესაბამისად ზურაბ ვაზაგაშვილის, სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის და სხვა უდანაშაულო ახალგაზრდების მკვლელობები დღემდე გაუხსნელია, მათ ოჯახებზე ზემოქმედება ხორციელდება, დამნაშავეები კი კვლავ დაუსჯელნი არიან. საზოგადოების გარკვეული ნაწილი დუმს. მოგიწოდებთ, გავერთიანდეთ ამ ბოროტების წინააღმდეგ, რათა შემდეგი მსხვერპლი ჩემი ან თქვენი ოჯახის წევრები არ გახდნენ — განაცხადა ადვოკატმა მალხაზ ჯანგირაშვილმა.

აქციაზე განსაკუთრებით მოძრაობა „7 ნოემბრის“ წევრები აქტიურობდნენ. მათი ინიციატივით ქალაქის ქუჩებში ავტომანქანებით საპროტესტო მსვლელობა მოეწყო.

— ალბათ გახსოვთ, რამდენიმე კვირის წინათ, ბერძენმა სამართალდამცავებმა 16 წლის უდანაშაულო ბიჭი მოკლეს. ამან საბერძნეთში პროტესტის უზარმაზარი ტალღა წარმოშვა. გაიმართა მრავალრიცხოვანი აქციები და ხალხი მთელი მთავრობის გადადგომას ითხოვდა. ქართველებს რა გვემართება? განა გვყავს ასე უბრალოდ დასაკარგი შვილები? ამიტომ პირველ რიგში საზოგადოება უნდა გაერთიანდეს და მკვლელების დასჯა ერთად უნდა მოვითხოვოთ — განაცხადა ადამიანის უფლებათა დამცველმა ლაშა ჩხარტიშვილმა.

აქციას ძირითად მოტივად გასდევდა მოთხოვნა — შეწყდეს ძალადობა, უსამართლო მკვლელობები. ადვოკატებმა განაცხადეს, რომ მათი პროფესიული კავშირი ყველას, ვინც უსამართლობის მსხვერპლია, დახმარებას უფასოდ გაუწევს, ხოლო ვაზაგაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით სარჩელს საერთაშორისო სასამართლოში შეიტანენ. მისი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს ევროპის სამართლიანი განაჩენის სჯერათ.

**ანა წიწილაშვილი**

№ 25. ოთხშაბათი, 11 თებერვალი, 2009 წელი.

თვალსაზრისი

***საქართველოს პრეზიდენტმა მიუნჰენში ორმხრივი შეხვედრები გამართა — ეს იმათთვის, ვინც ამ დღეების განმავლობაში გვარწმუნებდა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი მიუნჰენში უსაფრთხოების 45-ე კონფერენციაში მონაწილეობსო. ამ ნიუსისთვის „პომადად“ დამატებული — პრეზიდენტის გამოსვლა წელს არ იგეგმებაო, აბსოლუტური სისულელე იყო, რადგან პრეზიდენტი კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული არ ყოფილა. შესაბამისად, გაუგებარია, რისთვისაა საჭირო ამდენი სისულელის ფრქვევა და რატომაა დიპლომატიურად გაუმართლებელი სიმართლის თქმა. „საქართველოს პრეზიდენტი მიუნჰენში უსაფრთხოების 45-ე კონფერენციაში მონაწილეებთან ორმხრივ შეხვედრებს გამართავს“, რით აკნინებს ეს ნიუსი მის პრესტიჟს, მაშინ როცა, არა მხოლოდ პრეზიდენტმა, არამედ ყველამ, სადაც რა შეუძლია და რაც შეუძლია უნდა იღონოს, რომ ამ ქვეყანას რამე ეშველოს. თუმცა „გვეშველება თუ არა?“ მით უფრო, რომ მიუნჰენმაც ვერ გასცა ამ კითხვას ერთაზროვანი პასუხი.***

# მიუნჰენის პასაჟები

კიდევ ერთი ნიუსი — საქართველო არ იყო მიუნჰენის კონფერენციის მსჯელობის მთავარი თემა, თუმცა საქართველოს საკითხს (რუსეთის კონტექსტშიძ შეეხო საკმაოდ ბევრი პოლიტიკური ფიგურა და შესაბამისად იმის წინასწარ განცხადება, რომ კონფერენციის ფარგლებში საქართველოზე მსჯელობა გაიმართებაო არა მხოლოდ არამართებული, არამედ აშკარად გაუაზრებელი ნათქვამი იყო.

დიახ, კონფერენციაზე საქართველო არაერთხელ ახსენეს, მაგრამ ახალი არაფერი თქმულა.

ყველა გამომსვლელმა, ვინც კი სიტყვა „საქართველო“ ახსენა, იგი რუსეთის კონტექსტში ახსენა. გამონაკლისი არც აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი იყო — „ჩვენ ვერ დავეთანხმებით რუსეთს ყველა საკითხში. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები არ აღიარებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს“. ისე, რუსეთიც არ აღიარებს კოსოვოს დამოუკიდებლობას.

მთავარი ამ ყველაფერში ისაა, რომ ჩვენდა სასიხარულოდ, გააჩნია რა დონით, მაგრამ ცივილიზებულ სამყაროს მაინც ახსოვს საქართველო. რასაკვირველია, უმჯობესი იქნებოდა, რომ მიუნჰენის კონფერენციას, რომელიც უსაფრთხოებაზეა ორიენტირებული, მთავარ თემად, ე.ი. დღის წესრიგში, საქართველოს ოკუპაციის საკითხიც შეეტანა, მაგრამ თუ რატომ ვერ მოხერხდა ამის მიღწევა, ეს ყველაზე უკეთ ქვეყნის ხელისუფლებამ იცის და სხვებს კი მხოლოდ ვარაუდების გამოთქმის საშუალება გვაქვს.

მიუნჰენის მთავარი გზავნილი კი, არა მსოფლიო საზოგადოებას და არა რუსეთს, არამედ საქართველოს, მისი ხელისუფლებას სხეფერმა „გამოუგზავნა“ — „საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებიან, თუ ალიანსის ბუქარესტის სამიტის ყველა მოთხოვნას შეასრულებენ“.

თურმე არც ისე ყოფილა საქმე, როგორც ეს საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს მიაჩნია და დემოკ-



რატიის მეორე ტალღის აგორების წინ, რომლის შესახებ პირობა პრეზიდენტმა გასულ წელს გაეროში გაახმოვანა, აღმოჩნდა, რომ „იქ, ზევით“ კარგად იციან — „ბუქარესტის მოთხოვნების“ შესასრულებლად (თავისუფალი სასამართლო, მედია, ადამიანის უფლებების დაცვა, და ა. შ. მოკლედ კი დემოკრატიის განვითარებაძ არაფერი კეთდება.

„ჩვენ გვაქვს ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება, ჯერ არაფერი შეცვლილა და როგორც პრეზიდენტმა სარკოზიმ განაცხადა, ნატო არ არის ისეთი ორგანიზაცია, რომელში შესვლაც დაუყოვნებლივ შეიძლება, როგორც კი მის კარს მიადგები. პრინციპი ასეთია და ამ პრინციპს ალიანსის თითოეული წევრი იცავს“, — განაცხადა სხეფერმა.

ეს ორაზროვანი „ჯერ არაფერი შეცვლილა“ თანაბარწილად ეკუთვნის, როგორც ნატოს მიდგომებს, ასევე საქართველოში მიმდინარე პროცესებსაც.

და მაინც იმ დინებას მივყვეთ, რომელიც ჩავთვალოთ, რომ ქვეყნისთვის უფრო მოგებიანია და თვალყური მივადევნოთ თუ რა ითქვა მიუნჰენში, ორმხრივი შეხვედრების, კერძო ინტერვიუებისა თუ საჯარო გამოსვლებისას ჩვენთვის მნიშვნელოვანი.

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, აშშ არ დაუშვებს საქართველოს ტერიტორიების დანაწევრებას. ჯერ ერთი, საქართველო დანაწევრებულია და ამ დროისთვის არც თავად ამ ქვეყნის ხელისუფლებას და არც აშშ-ს (რომელიც რას „არ დაუშვებს“ გაუგებარიაძ ამ რეალობის შესაცველად არავითარი მზა რეცეპტი არ გააჩნიათ. მეორეც, აშშ რომ არ აღიარებს სეპარატისტულ რეგიონებს (როგორც ამაზე ამახვილებს ყურადღებას საქართველოს საგარეო უწყებაძ ესეც ძველი ნიუსია. ამ შემთხვევაშიც მეტ-ნაკლებად უკეთესი მოსასმენი იქნებოდა — აშშ არ აღიარებს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული რეჟიმების დამოუკიდებლობას. საქართველოსთვის, და ასე უნდა იყოს დანარჩენი მსოფლიოსთვისაც, არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი ამჟამად არ არიან სეპარატისტული ანკლავები, არამედ ისინი ოკუპირებულ ტერიტორიებს წარმოადგენენ.

და ისევ სხეფერს მივუბრუნდეთ, რომელმაც განაცხადა „რუსული სამხედრო ბაზების შექმნასთან დაკავშირებით (აფხაზეთში და ე.წ. სამხრეთ ოსეთში — **ავტ.**ძ ჩვენ საკუთარი პოზიცია უკვე ოფიციალურად დავაფიქსირეთ. ეს არასწორი გადაწყვეტილებაა“. მეტი არაფერი! შეშფოთებით, აღშფოთებითა და დაგმობით, რომ რუსეთი თავის განზრახვაზე ხელს არ აიღებს, ესეც ნათელია. უფრო დამაზნეველი აღმოჩნდა ევროპული დიპლომატიის „ბებერი მგლის“ ჰავიერ სოლანას განცხადება, რომელმაც აღნიშნა, ჩვენ ვმუშაობთ, რათა კონფლიქტურ რეგიონებში ევროკავშირის დამკვირებლები დაუშვან, მაგრამ რუსეთი ამას ეწინააღმდეგებაო და დასძინა, რა იქნება შემდგომ არ ვიცით, თუმცა მუშაობა გაგრძელდებაო.

იხ. 4 გვ.

რუსი პოლიტოლოგის ხედვით



***მიუნჰენში უსაფრთხოების საკითხებზე გამართული 45-ე კონფერენციის შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ ვაშინგტონში მცხოვრებ რუს პოლიტოლოგს, პროფესორ ანდრეი პიონტკოვსკის ესაუბრა.***

# ანდრეი პიონტკოვსკი:

# ამერიკა მოსკოვს საკმაოდ მკაცრად დაუპირისპირდა

**— ბატონო ანდრეი, როგორ შეაფასებდით მიუნჰენის კონფერენციას და აშშ-ს ახალი ადმინისტრაციის ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის პირველ საჯარო განცხადებებს ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკაზე?**

— ჩემი აზრით, მიუნჰენში არავითარ მოულოდნელობას ადგილი არ ჰქონია. ბარაკ ობამას ადმინისტრაცია რომ უარს იტყოდა, როგორც აშშ-ში უწოდებენ „ბუში-ჩეინის სისხლიანი რეჟიმის“ პოლიტიკაზე და ყველა მიმართულებით დაიწყებდა ახალი მიდგომების ძიებას, მათ შორის ირანის, ავღანეთის, ჩინეთისა და რუსეთის საკითხებში, ეს მოსალოდნელი და გარდაუვალი იყო. ისიც ნათელი იყო, რომ ბუშის პოლიტიკის დაგმობის რიტორიკის მიუხედავად, ობამას ადმინისტრაცია აშშ-ს ნაციონალური ინტერესებით იხელმძღვანელებდა და, გარკვეულწილად, თეთრი სახლი იმ პოლიტიკას გაატარებდა, რომელიც ბუშის მმართველობის დროს ტარდებოდა.

აშშ-რუსეთის ურთიერთობებში მწვავე საკითხი იყო ცენტრალურ ევროპაში ამერიკული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის განლაგება. „დემოკრატიული“ ადმინისტრაცია დიდი სიამოვნებით იტყოდა უარს „რესპუბლიკელების“ საყვარელ პროექტზე, მაგრამ ვიცე-პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ პროექტი გაგრძელდება. შტატებს ბრწყინვალედ ესმის, რომ ამ თემაზე საუბრისას მთავარი არ არის სტრატეგიული სტაბილურობისა და უსაფრთხოების საკითხები. მოსკოვშიც ესმით, რომ ევროპაში განლაგებული 10 რაკეტა რუსეთს საფრთხეს არ უქმნის, მაგრამ ამით მოსკოვს აშშ-სთვის იმის ჩვენება უნდოდა, თუ ვინ არის ცენტრალურ ევროპაში ბატონ-პატრონი. ვაშინგტონმა არ გაითვალისწინა ევროპაში ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის განლაგებასთან დაკავშირებით მოსკოვის პოზიცია და იმის მტკიცება, რომ რადგან მათი იქ ყოფნა რუსეთს არ უნდა, იქ არ იქნებიან. ამერიკა მოსკოვს საკმაოდ მკაცრად დაუპირისპირდა.

გარდა ამისა, ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ არასოდეს მიიღებს რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციას, რომლის თანახმადაც, რუსეთს უნდა ჰქონდეს გავლენის პრივილეგირებული ზონები, პირველ ყოვლისა, ეს პოსტსაბჭოთა სივრცეს ეხება. სხვათა შორის, ეს კონცეფცია მედვედევმა რუსეთ-საქართველოს ომის დასრულების შემდეგ წამოაყენა.

ბაიდენმა მიუნჰენში საქართველოსთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი და მკაცრი განცხადება გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მ რუსეთთან თანამშრომლობის მზადყოფნის შესახებ განაცხადა, იქვე აღნიშნა, რომ ერთადერთი საკითხი, რომელშიც აშშ რუსეთის მიმართ კომპრომის არ დაუშვებს და ამ საკითხს არ განიხილავს, ეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხია, ვინაიდან რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანექსია განახორციელა. ვფიქრობ, რომ ქართული საზოგადოება და ხელისუფლება აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის მიუნჰენში პირველივე საჯარო გამოსვლის დროს გაკეთებული განცხადებით კმაყოფილი უნდა იყოს.

**— აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით გაცხადებული პოზიციების მიუხედავად, რუსეთი ამ რეგიონების ანექსიას აგრძელებს. თქვენი აზრით, მაინც როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები საქართველოს ამ ორ კონფლიქტურ ზონაში?**

— აქ საჭიროა, რეალისტები ვიყოთ. ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში და ასევე მოკლევადიან პერსპექტივაში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოსთვის დაკარგულია. სერგეი ივანოვმა სრულიად სამართლიანად აღნიშნა, რომ მოსკოვის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში ამ საკითხში არსებობს სრული კონსენსუსი.

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ მოსკოვში მიმდინარეობს ბრძოლა კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის, მაგრამ, რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების შენარჩუნებას, ამ საკითხში მათ შორის სრული თანხმობაა. ამავე საკითხზე აშშ-ს აბსოლუტურად განსხვავებული პოზიცია საქართველოსთვის კარგი სიგნალია, ვინაიდან აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით ვაშინგტონის პოზიციას იზიარებს მთელი დანარჩენი მსოფლიო. თქვენ წარმოიდგინეთ, ლუკაშენკოსაც კი, რუსეთის მიერ ხელის გადაგრეხვის მორიგი მცდელობის მიუხედავად, რომ მინსკს სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა ეღიარებინა, ეს ვერ აიძულეს.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემა საკმაოდ დიდი ხნით გაყინული საკითხია. საჭიროა იმის გაცნობიერება, რომ ეს ტერიტორიები საქართველოსთვის დიდი ხნით არის დაკარგული, მაგრამ ახლა საჭიროა გრძელვადიან პერსპექტივაზე მუშაობა. საჭიროა საქართველოში რეფორმების გატარება და ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელიც იგივე აფხაზებისა და ოსებისთვის მიმზიდველი იქნება. როდესაც ისინი დაინახავენ, რომ სტაგნაციაში მყოფ ანკლავებში ცხოვრობენ, გვერდით კი საქართველოს ეკონომიკა ჰყვავის, მათი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ შეიცვლება. საქართველოსთვის საუკეთესო სტრატეგიაა ამგვარი პოლიტიკის გატარება, ყოველ შემთხვევაში, ეს არის ის, რისი გაკეთებაც ახლა შეიძლება.

**— თუმცა, ეს ლოგიკური მხოლოდ თეორიულად ჩანს, ვინაიდან ეკონომიკური კრიზისის ვითარებაშიც კი ახერხებს რუსეთი აფხაზეთში მნიშვნელოვანი კაპიტალისა და ინვესტიციის დაბანდებას...**

— მე არა მგონია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში კრიმინალური ეკონომიკა უფრო წარმატებული იყოს, ვიდრე — ღია და საბაზრო ეკონომიკა. აფხაზეთში ახლა კრიმინალური ეკონომიკაა, რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, იქაურ ეკონომიკაზე საუბარი საერთოდ არ ღირს.

იხ. 4 გვ.

⊙ თვალსაზრისი



# მიუნჰენის პასაჟები

(მესამე გვერდიდან)

ისე ბაზებს რაც შეეხება, დღეს, ნატოსაც და შესაბამისად აშშ-საც საკუთარი ბაზების პრობლემა უფრო აწუხებთ. რუსეთმა მათ ყველაფერი ისე „შეუსრულა", რომ ავღანეთში მოსახვედრად ნატო რუსეთის გარეშე ხელსაც კი ვერ ატოკებს.

სხეფერის განცხადებით, ავღანეთის ოპერაციისათვის, რუსეთის ტერიტორიის გავლით კომუნიკაციის დამყარებასთან დაკავშირებით, ნატო და რუსეთი მოლაპარაკებებს აწარმოებენ და იქვე დასძინა, „ვიმედოვნებ, რომ ყირგიზეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება („მანასის" ავიაბაზის დახურვა. — **ავტ.**ძ საბოლოო არა არის. რუსეთს ამ საკითხში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია".

მოკლედ, ნატოსაც და აშშ-საც საკუთარი თავის ტკივილი აქვს. ამ უკანასკნელს უფრო მეტად, ვინაიდან პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადება, ავღანეთში სამხედრო წარმომადგენლობის ზრდის შესახებ, შესაძლოა, ჰაერში გამოეკიდოს.

ნატომ, ფაქტობრივად, თხოვნით მიმართა მოსკოვს, როდესაც ეს განცხადება გაახმოვანა — რუსეთს შეუძლია ყირგიზეთის პრეზიდენტს კურბანბეკ ბაკიევს „მანასის" ავიაბაზის ლიკვიდაციაზე უარი ათქმევინოსო.

რუსეთი კი გაიბადრა — სერგეი ივანოვმა ვაშინგტონის მზადყოფნა, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განთავსებასთან დაკავშირებით რუსეთთან მოლაპარაკებები აწარმოოს, პოზიტიურად მიიჩნია — „ძალიან პოზიტიური გადაწყვეტილებააო".

ივანოვს განსაკუთრებით მოეწონა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ჯოზეფ ბაიდენის ფრაზა — „რუსეთთან მიმართებაში უმჯობესია ამერიკამ გადატვირთვის ღილაკს დააჭიროს ხელი".

საქართველოსთვის კარგია, რომ საქმე მხოლოდ გადატვირთვას ეხება და არა „პოლიტიკური ვინდოუსის" გადაყენებას, რასაც შესაძლოა მეხსიერების სრული წაშლა მოყოლოდა.

ამ პოლიტიკური ჩხვლეტისა და დითირამბების პარალელურად ფაქტია, რომ მოსკოვიცა და ვაშინგტონიც მოლაპარაკებებისთვის ემზადებიან. მოლაპარაკებები კი ის პროცესია, როდესაც მხარეებს გარკვეულ დათმობებზე მოუწევთ წასვლა.

მართალია, ექსპერტი ირაკლი მენაღარაშვილი სააგენტო „ჯიეიჩ-ენთან" საუბარში აცხადებს, რომ „აშშ-ს მიდგომები საქართველოსთან მიმართებაში უცვლელია, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია აქტიურ დიალოგს გეგმავს რუსეთთანაც".

ასევე უცვლელი იყო აშშ-ს პოზიცია ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებთნ დაკავშირებით, რომელთანაც აშშ-ის ადმინისტაციის დამოკიდებულების შერბილებამ („ვაშინგტონი ამ პროცესს ნატოს წევრ მოკავშირეებთან და რუსეთთან კონსულტაციების საფუძველზე განახორციელებს" — ჯოზეფ ბაიდენიძ პოლონეთის პრემიერ- მინისტრი დონალდ ტუსკი ლამის მწყობრიდან გამოიყვანა.

სამწუხაროა, რომ დასავლელი პოლიტიკოსების ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერისა და საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დადასტურების პარალელურად, რომელიც ეჭვქვეშ ნიკარაგუის მეტს არავის დაუყენებია, ჩვენში მინიმალურ ყურადღებას აქცევენ თავად ოკუპანტი ქვეყნის დამოკიდებულებას საკითხისადმი — აღიარების აქტი არ შეიცვლება და ბაზებიც განთავსდება. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა მიუნჰენში ამჯერად არა მხოლოდ ქართველი ჟურნალისტებისთვის, არამედ უცხოელებისთვის და თან ინგლისურ ენაზე სერგეი ივანოვმა.

შესაბამისად რა საკითხზეც არ უნდა ისაუბრონ აშშ-მა და რუსეთმა, მოსკოვი საკუთარი ინიციატივითაც არაერთხელ წამოწევს ამ თემებს და მოთმინებით დაელოდება მისთვის სასურველ პასუხს.

რაც შეეხება ანგელა მერკელის განცხადებას, „უკრაინა და საქართველო გახდებიან ნატოს წევრები. არც ერთ მესამე ქვეყანას არ აქვს უფლება, რომ ჩაერიოს ამ პროცესში", ეს რუსეთს სულაც არ ანაღვლებს, ვინაიდან „ბუქარესტის საკვანძო მოთხოვნა" ქართული დემოკრატია ისეთივე მირაჟია, როგორც ის, რომ აშშ არ დაუშვებს იმას, რაც უკვე დაშვებულია.

თბილისში უნდა გაიგონ, რომ რუსეთისთვის, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის მიმდინარე ეტაპზე მრავალ ძალას, სახელმწიფოს თუ ალიანსს სჭირდება, ყურის აწევა სრულებითაც არ ნიშნავს საქართველოს შექებას. საქართველოს შესაქებად კი აუცილებელია დემოკრატია და გონიერი პოლიტიკა, სამწუხაროდ არც ერთი გვაქვს და არც მეორე. ამის დასტურად „მიუნჰენის პასაჟებიც" საკმარისია.

**გოჩა მირცხულავა,**
**ჯი-ეიჩ-ენი**

⊙ რუსი პოლიტოლოგის ხედვით

### ანდრეი პიონტკოვსკი:

# ამერიკა მოსკოვს საკმაოდ მკაცრად დაუპირისპირდა

(მესამე გვერდიდან)

**— ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, რუსეთი იმპერიულ ამბიციებს არ ივიწყებს. ამის მაგალითად საკმარისია დავასახელოთ ევრაზიაში გაერთიანებული ქვეყნების მიერ ერთიანი კოლექტიური თავდაცვის სისტემის შექმნის შესახებ გასულ კვირას მიღებული გადაწყვეტილება...**

— ეს საკმაოდ ბუნებრივია, ვინაიდან რუსეთის ისტორიაში ამგვარი პროცესები ყოველთვის მეორდებოდა, როცა რუსეთში შიდა ვითარება რთულდებოდა. ასე რომ, შექმნილ ვითარებაში რუსეთის ხელისუფლებისათვის ამგვარი მოქმედება, სტანდარტულია.

რას ეფუძნებოდა პუტინის პოლიტიკური სისტემის 8-9-წლიანი მმართველობა? ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის დადებული იყო გაუხმაურებელი კონტრაქტი — საზოგადოება არ უნდა ჩარეულიყო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, მათ შორის, ქონების განაწილებაში. თავის მხრივ, ხელისუფლება განახორციელებდა ქვეყნის მართვას, მილიარდერებად გადაქცევას და იმის კეთებას, რასაც მოისურვებდა. ასეთ ვითარებაში მოსახლეობა თავის დროზე მიიღებდა კუთვნილ ხელფასებსა და პენსიას. ახლა ეს კონტრაქტი დარღვეულია, ვინაიდან ხელისუფლებას არ შეუძლია უზრუნველყოს კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამის გამო რუსეთში სულ უფრო მწვავდება სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა. ასეთ ფონზე საზოგადოების კონსოლიდირების ერთადერი საშუალებაა, საზოგადოებას მიუთითო საგარეო მტერზე და თქვა, რომ რუსეთი მტრების ალყაშია მოქცეული და მას საქართველო და უკრაინა კი არა, საერთაშორისო იმპერიალიზმი ებრძვის.

რუსეთის ხელისუფლებისთვის მტრის ხატის შექმნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნაციონალური ინტერესები და ქვეყნის უსაფრთხოება. ამის მაგალითია ბოლო შემთხვევაც, რომელიც ყირგიზეთიდან ამერიკული ბაზების გაყვანას უკავშირდებოდა. მოსკოვში მომხდარით კმაყოფილები არიან და მიაჩნიათ, რომ რუსეთმა აშშ-ს სახეში შეაფურთხა, როცა აიძულა ყირგიზეთის მთავრობა, მიეღო გადაწყვეტილება მანასში არსებული ამერიკული ბაზის გაუქმების შესახებ. ახლა არავინ ფიქრობს, თუ რას აკეთებდნენ იქ ამერიკული და ნატოელი სამხედროები? ისინი იქ რუსეთსაც თავგანწირვით იცავდნენ ავღანეთში მოქმედი ისლამისტი რადიკალებისგან. რამდენადაც ვიცი, ავღანეთში ქართველი ქვედანაყოფებიც მსახურობენ. თუ ავღანეთში მოსკოვის ხელშეწყობით კოალიცია დამარცხდა, ისლამისტები რუსეთისა და შუა აზიისათვის სერიოზული პრობლემა გახდებიან.



რუსეთის ხელისუფლებას იმდენად სძულს აშშ, რომ ურჩევნია, აშშ საზოგადოების თვალში მტრის ხატად აქციოს, ვიდრე თვალი გაუსწოროს პრობლემებს და ყველაზე მაღლა ქვეყნის ნაციონალური ინტერესები დააყენოს.

**— შუა აზიიდან ამერიკელების გასვლის შემთხვევაში, ისლამისტების გარდა, რუსეთისათვის საფრთხეს ჩინეთიც წარმოადგენს...**

— აშშ-ჩინეთის მჭიდრო ურთიერთობებზე თვალის დახუჭვა უკვე შეუძლებელია. რუსული ტელევიზიებიც კი, რომლებიც კრემლს ემორჩილებიან, ვერ ფარავენ, რომ ვაშინგტონსა და პეკინს შორის ურთიერთობები მნიშვნელოვნად დათბა. ამერიკაში უცნაური რამ მოხდა, აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ორი პატრიარქი ბზეჟინსკი და კისინჯერი, რომლებიც ერთმანეთს თითქმის არაფერში ეთანხმებოდნენ, ახლა ერთად აცხადებენ, რომ თანამედროვე მსოფლიოში აშშ-სა და ჩინეთის კავშირის სახით უნდა შედგეს „დიდი ორეული", რომელიც მსოფლიოს უსაფრთხოების არქიტექტურას განსაზღვრავს.

ასეთ ვითარებაში სად არის არარაობა მედვედევი? რომელიც საზოგადოებას ლექციებს უკითხავდა, რომ რუსეთი უნდა იყოს თანამედროვე მსოფლიოს ფინანსური და უსაფრთხოების არქიტექტორი?

**— რუს ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური კრიზისის ფონზე რუსეთში 2-3 წელიწადში რევოლუციური პროცესები დაიწყება. თქვენი შეფასებით, 21-ე საუკუნეში მართლაც შესაძლებელია „დაუნდობელი და უაზრო რუსული ბუნტის" გამეორება?**

— ჩემი აზრით, რუსეთში, სავარაუდოა, პოლიტიკური პროცესების ორი სცენარით განვითარება: მოსკოვში ერთმანეთს ებრძვიან ნაციონალ-კლეპტოკრატები და გლობალ-კლეპტოკრატები.

სხვათა შორის, მათ თავისი არსებობის შესახებ რუსეთ-საქართველოს ომის დროს განაცხადეს. მათ შორის პირველი დაპირისპირება სწორედ საქართველოს საკითხზე მოხდა და აგვისტოს თვეში თბილისის აღება-აუღებლობას უკავშირდებოდა. პუტინის ირგვლივ შეკრებილი ძალოვანები მზად იყვნენ, აეღოთ თბილისი და ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტათ დასავლეთთან. მაგრამ მოსკოვში ასევე არიან გლობალ-კლეპტოკრატები, რომლებსაც დასავლეთის ბანკებში აქვთ ანგარიშები. მათ არ სურთ დასავლეთთან ურთიერთობების დაძაბვა და ახლა მედვედევის ირგვლივ ერთიანდებიან.

მედვედევი, როგორც ფიგურა არარაობაა, მასზე ფსიქოლოგიურად დომინირებს პუტინი და ამიტომაც იყო, რომ თავის მემკვიდრედ აირჩია. მაგრამ გლობალისტებისთვის მედვედევი იმით არის საინტერესო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის სრულად არის დამოკიდებული პუტინზე, მას ერთი განკარგულებით შეუძლია პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადაყენება.

პუტინის ბანაკს ეს ესმის და მზად არის მედვედევს პრევენციული დარტყმა მიაყენოს. ჩემი პროგნოზით — წლეულს ამ ჯგუფებს შორის კონფლიქტი ერთის ან მეორის სასარგებლოდ გადაწყდება. გადადგება პუტინი ან მედვედევი და ახალი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნება. მით უმეტეს, რომ ამისათვის უკვე გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, როცა კონსტიტუციაში ცვლილებები შეიტანეს.

ასეთია რუსეთში მოვლენათა განვითარების ორი განსხვავებული სცენარი. პუტინის გამარჯვების შემთხვევაში რუსეთში კვაზი-შიზოიდური რეჟიმი საბოლოოდ ჩამოყალიბდება, რასაც რუსეთის დასავლეთთან ღია დაპირისპირება მოჰყვება. გლობალ-კლეპტოკრატების გამარჯვება — ეს ზემოდან რუსეთის ლიბერალიციის მცდელობა იქნება. დაახლოებით ისეთი, როგორიც ხრუშჩოვის „ოტტეპელი" და გორბაჩოვის „პერესტროიკა" იყო. ძნელი არ არის იმის პროგნოზირება, თუ რა საგარეო გამოხმაურება და შედეგები მოჰყვება მოვლენების განვითარებას ორივე, ერთი ან მეორე ჯგუფის გამარჯვების შემთხვევაში. უკვე წლეულს ჩვენ რუსეთში საკმაოდ დრამატული მოვლენების მოსწრე გავხდებით.

**კობა ბენდელიანი**

## ◉ კომპეტენტური აზრი

# ღირს კი რეალურად მკვდარი ფირმებისა და ბანკების „ხელოვნურ სუნთქვაზე“ ყოლა?

## XXI საუკუნე შეიძლება ეკონომიკური ზომბის ეპოქა გახდეს

**თანამედროვე გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში ეკონომიკის ზომბირების პრობლემა ძალზე გააქტიურდა. თუ გასული საუკუნის 90-იან წლებში ზომბირების თემა ძირითადად მხოლოდ იაპონიის ეკონომიკასთან მიმართებაში განიხილებოდა, დღეს ეს პრობლემა უკვე აშშ-ისა და ევროპის ქვეყნების ეკონომიკებსაც გადასწვდა.**

ეკონომიკის ზომბირება უშუალოდ არის დაკავშირებული ფინანსურ კრიზისთან. კერძოდ, ფინანსური სირთულეების გამო ფირმები დგებიან გაკოტრების საფრთხის წინაშე, რაც, საბოლოო ჯამით უმუშევრობის ზრდაში აისახება. ეს კი მთავრობას უქმნის პოლიტიკურ დისკომფორტს. ამიტომაც მთავრობა მზადაა, ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინოს ასეთ ფირმებს, რათა ისინი არ დაიხურონ და ხალხი არ დაითხოვონ. იაპონური გამოცდილების თანახმად ამ მიზნით მთავრობა ეხმარება ბანკებს, რომ მათ გააგრძელონ გაკოტრებული ფირმების დაკრედიტება. ბუნებრივია, რომ არა მთავრობის მხრიდან ბანკებისთვის გაწეული დახმარება, გაკოტრებული ფირმების დაკრედიტების გაგრძელებით ბანკები თავად გაკოტრდებოდნენ.

აი ასე იქმნება გაცოცხლებული მკვდარი ფირმები და ბანკები, ანუ ზომბი ფირმები და ზომბი ბანკები, რომლებიც ქმნიან ზომბი ეკონომიკის ქსელს.

პარადოქსი ის არის, რომ ფინანსური კრიზისის დამთავრების შემდეგაც, ანუ მაშინაც კი როცა ამის აუცილებლობა უკვე აღარ იყო, იაპონიაში გაგრძელდა ზომბი ბანკებისა და ზომბი ფირმების ფუნქციონირება. ამ პარადოქსის ახსნა შეიძლება ეკონომიკურ ცვლილებათა ევოლუციური თეორიით.

ამ თეორიის ძირითადი „ინსტრუმენტი“ ე. წ. „რუტინის“ ცნებაა, რომლის ქვეშ ფირმის ქცევის ჩამოყალიბებული ის წესები და ხერხები იგულისხმება, რომლებიც ამ ფირმის მოქმედების აღწარმოებას არეგულირებენ.

ფინანსური კრიზისის მეტ-ნაკლები ხანგრძლივი პერიოდით გაგრძელების შემთხვევაში გაკოტრებულ ფირმებში ფირმის ქცევის ისეთი წესები და ხერხები ყალიბდება, რომლებიც ეფუძნება სამთავრობო მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობას, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს ფირმის ზრუნვას კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. შედეგად ეს ფირმები აგრძელებენ იმ რეჟიმში ფუნქციონირებას, როგორც ეს იყო ფინანსური კრიზისის დროს.

მსგავსი სიტუაცია იქმნება იმ ბანკებშიც, რომლებიც აგრძელებენ ზომბი ფირმების დაკრედიტებას, რამეთუ მათაც გარანტირებული აქვთ მთავრობის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა, რაც ასევე აყალიბებს ამ ბანკებში შესაბამის რუტინას.

ზომბი ბანკების საშუალებით ზომბი ფირმების მხარდაჭერის რუტინა ყალიბდება მთავრობაშიც, რის გამოც მთავრობა გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე აგრძელებს მკვდარი ფირმებისა და მკვდარი ბანკების ფინანსურ მხარდაჭერას.

სწორედ ეს ზომბი რუტინა ხდება ზომბი ეკონომიკის, ანუ ზომბი ფირმების, ზომბი ბანკებისა და ზომბი მთავრობის ერთიანი სისტემის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველი.

იბადება კითხვა, თუ ვინ არის ზომბი ეკონომიკის რუტინის მატარებელი?

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზომბი ეკონომიკა არის მკვდარი ეკონომიკა, რომელიც წურბელასავით წოვს სისხლს გადასახადების გადამხდელებს და ამით იხანგრძლივებს სიცოცხლეს, ბუნებრივია დავასკვნათ, რომ ზომბი ეკონომიკის რუტინის მატარებელი არის არა ცოცხალი, არამედ — მკვდარი ადამიანი, რომელიც ხელოვნურად აგრძელებს სიცოცხლეს, რაც სხვა არაფერია, თუ არა ზომბი.

ზომბი ეკონომიკაში მოქმედ გაცოცხლებულ მკვდარ ადამიანს *ეკონომიკური ზომბი*, „*ზომბი ეკონომიკუსი*“ ვუწოდოთ. სწორედ ის არის ზომბი ეკონომიკის შესაბამისი რუტინის მატარებელი და მისი იმპლამენტატორი.



ეკონომიკური ზომბის მიზანი არ არის მოგების მიღება. მისი მიზანია შეინარჩუნოს არსებობა ისე, რომ სულაც არ იფიქროს იმაზე, თუ რამდენად მისაღებია ბაზრისთვის მისი ფირმის საქმიანობა, თუ რამდენად ესაჭიროება მომხმარებელს მისი ფირმის მიერ წარმოებული საქონელი თუ გაწეული მომსახურება, მისი ხარისხისა და მასზე გაწეული დანახარჯების მიუხედავად.

ზომბ ფირმაში მომუშავე ეკონომიკურმა ზომბიმ იცის, რომ მას გახსნილი აქვს საკრედიტო ხაზი ზომბ ბანკში, სადაც მუშაობს მისნაირივე ეკონომიკური ზომბი, რომელიც პრაქტიკულად შეუფერხებლად გასცემს ზომბი ფირმაზე კრედიტებს.

ზომბ ბანკში მომუშავე ეკონომიკურმა ზომბიმ კი ასევე იცის, რომ მთავრობაში მომუშავე მისნაირივე ეკონომიკური ზომბისგან გარანტირებული აქვს დეპოზიტების დაზღვევა, ფინანსური მხარდაჭერა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ის, თუ როგორ აზარალებს ზომბი ეკონომიკა ეკონომიკის ჯანსაღ ნაწილს, კარგადაა ცნობილი: ჯერ ერთი, ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიან ფირმებს უჭირთ იმ ბაზრებზე შეღწევა, სადაც ზომბი ფირმები ბატონობენ, რადგანაც ამ უკანასკნელებს ყოველთვის აქვთ კონკურენტული უპირატესობა – ისინი, ჯანსაღი ფირმებისგან განსხვავებით მოგებაზე ხომ არ ზრუნავენ; მეორე – ზომბი ფირმები ამცირებენ საკრედიტო რესურსს და ამით ზღუდავენ ჯანსაღი ფირმების საქმიანობას ეკონომიკის იმ სექტორებშიც, სადაც ზომბი ფირმები ნაკლებად, ან საერთოდ არც არიან წარმოდგენილი.

სწორედ ამიტომ ეკონომიკური ზომბისგან ზომბი-ვირუსი გადამდები ხდება იმ ადამიანებზეც, რომლებიც საქმიანობენ ჯანსაღ ფირმებსა თუ ჯანსაღ ბანკებში, რადგანაც ამ უკანასკნელთა ზომბირება აადვილებს იმ ეკონომიკაში ფუნქციონირებას, სადაც ეკონომიკური ზომბი ბატონობს.

გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც რომელიმე ერთი ქვეყნის საზღვრებით არ შემოიფარგლება, საფრთხეს უქმნის არაერთ ქვეყანას ზომბი ვირუსის გავრცელებაში.

აშშ-ის, ევროკავშირის წევრი-სახელწიფოების, თუ რუსეთის მთავრობათა ანტიკრიზისული პროგრამები მეტ-ნაკლებად ორიენტირებულია არაგადახდისუნარიანი ბანკებისა და ფირმების საფინანსო მხარდაჭერაზე გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე. როგორც წესი, სწორედ ის ბანკები და ფირმები ითხოვენ მთავრობებისგან ფინანსურ მხარდაჭერას, ვინც ხელი შეუწყო ფინანსური კრიზისის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

დღეს მსოფლიო დადგა იმ საფრთხის წინაშე, რომ ეკონომიკური ზომბის ფენომენი, რომლის გავრცელების არეალი ადრე ძირითადად მხოლოდ იაპონიით შემოიფარგლებოდა, შესაძლოა მსოფლიოს სხვა წამყვან ქვეყნებშიც გავრცელდეს, რაც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სერიოზულ ბარიერად იქცევა.

რა არის ეკონომიკური ზომბისგან თავდაცვის საშუალება?

ველოსიპედი სულაც არ არის თავიდან გამოსაგონებელი, უბრალოდ აუცილებელია რეალურად მკვდარი ფირმები და ბანკები იურიდიულადაც მკვდრად იქნენ აღიარებულნი, რაც გაკოტრების შესახებ ეფექტიანი კანონმდებლობის ამოქმედებით მიიღწევა. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ეკონომიკური ზომბის გავრცელების შეზღუდვა და მისი საბოლოოდ მოკვლა.

გაკოტრების შესახებ ეფექტიანი კანონმდებლობის მიღება და ამოქმედება კი დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ ნებაზე, რომელიც აუცილებლად უნდა გააჩნდეს შესაბამის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ლიდერებს. ხოლო, თუ მათ ასეთი ნება არ ექნებათ, ისინი თავადვე გახდებიან ზომბი ვირუსით დაავადებულნი და თავიანთი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ.

**ვლადიმერ პაპავა,**
**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში**

## ◉ ერიჰა!

***არა, ბატონებო, შეგეშალათ! ორთავეს შეგეშალათ — ოპოზიციონერებსაც და საჭეთმპყრობელთა მხარდამჭერებსაც: სათაურ-ქვესათაურად გამოტანილი სიტყვები სულაც არ ეხება ჩვენს ხელისუფლებას და, მით უმეტეს, სულაც არ გამოხატავს მისი „გადაუვარდნელობით“ გამოწვეულ იმედგაცრუებას. სათაური, გეხსომებათ, საყვარელი შვილიშვილის წაგვრით გამწარებული პაპის წამოძახილია ჭიაურელის კარგი ფილმიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (უბრალოდ, ბრჭყალებში არ ჩავსვი, რადგან ზუსტად ციტირების პრეტენზია არა მაქვს).***

***მოურავის ღრენია პასუხიც გეხსომებათ: რა გადავარდა, რი გადავარდა მე არ ვიცი, შენთან სალაყბოდ არა მცალია, დიდმა ქალბატონმა ბრძანა, ი ჩემი ნათლული მომგვარეთო!..***

# აკი გადავარდაო ეგ საოხრე?!

## ვინ ორპირობს – „დიდი ბატონი“ თუ „მოურავი“, ანუ ქვეყნის პირველი პირი თუ რანგით მეორე დიდმოხელე?

მე დიდი ქალბატონის კი არა, „დიდი ბატონის“ ნაბრძანებზე მექნება საუბარი, უფრო სწორად, „მოურავის“ მიერ „პატრონის“ ნაბრძანების ერთგვარი „პერიფრაზირების“ მცდელობაზე.

თუმცა იმ სიტუაციას, რომელზეც მინდა გესაუბროთ, უფრო გაოცებული გიორგი მახარაშვილის შეძახილი მოუხდებოდა: **კაკ სლუში, სიჩას ესტ, ა სიჩას ნეტ?!**

რაზეა ლაპარაკი?

**„მე ქართულ პრესას არ ვკითხულობ. მასში ღირებული ინფორმაცია საერთოდ არ არის“.**

ეს სიტყვები საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის, რომელიც მან 2005 წლის 28 დეკემბერს ბიზნესლანჩზე, როგორც ჩვენს კანონმდებლებს უყვართ თქმა, „გააჟღერა“.

**„ვიცი, რომ პრეზიდენტი გაზეთებს ყოველდღე კითხულობს. სულ ამბობს — ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიღწევა ის არის, რომ კრიტიკული პრესა გვაქვსო. ეს პრეზიდენტს ვიწრო წრეში აქვს ნათქვამი, როდესაც გულახდილად ვსაუბრობდით ხოლმე“** („კვირის პალიტრა“ძ.

ეს სიტყვები კი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს ეკუთვნის და ამონარიდის სახით გაზეთ „ასავალ-დასავლის“ ბოლო ნომერში წავიკითხე.

**ეს უკვე „პერიფრაზირება“ კი არა, ვგონებ, „მოურავის“ მიერ „პატრონისთვის“ პირის მოწმენდის მცდელობა უფროა!**

ყოველ შემთხვევაში, გიორგი მახარაშვილი ამის გაგონებაზე ზუსტად იმ სიტყვებს წამოიძახებდა, ზემოთ რომ მოგახსენეთ.

მე კი, უნებლიეთ, ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი იუმორისტული მოთხრობიდან ერთი პასაჟი გამახსენდა, რომელსაც ასევე უბრჭყალებოდ მოვიტან:



**— ვინაა, ძამა, მაგი ყაზახი, თუ იცი?**
**— ჩვენი სოფლის ექიმია.**
**— მერე ვერ მეირჩენს თავს?**

**არა, ბატონებო, ზოგიერთებივით იმას კი არ ვამბობ, ვინმე, მით უფრო უმაღლეს ხელისუფლებაში, სამკურნალო და მოსარჩენიამეთქი, მაგრამ ეს ჩვენი ხელისუფალნი თუ მართლა კითხულობენ ქართულ გაზეთებს, ნუთუ ერთი რამ მაინც ვერ ნახეს იქაურ პუბლიკაციებში ისეთი, მათი აზრით, ლამის სამოთხედ ქცეული ჩვენი ყოველდღიურობის, სინამდვილეში კი საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისთვის გაძაღლებული ყოფის რომელიმე უბანზე საქმის გამოსასწორებელ-სამკურნალოდ თუ არა, სასიგნალოდ მაინც რომ გამოდგომოდათ?**

თუ სწორედ იმის პრობლემაა, ერთ ფრთიან ფრაზაში რომ არის გაცხადებული — **კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო?**

უკაცრავად კი ვარ ჭკუის სწავლებისთვის, მაგრამ არ უნდა თქვას „დიდმა ბატონმა“ ისეთი რამ, თანაც სახალხოდ, რომლის „პერიფრაზირება“, ან რომლის გამოც „პატრონისთვის“ პირის მოწმენდა მერე „მოურავს“ მოუწევს!

ან „ორსკამა თავმჯდომარისა“ არ იყოს, **ეს რა უბედურებაა, — პრეზიდენტი სახალხოდ ერთს ამბობდეს, „ვიწრო წრეში“ კი — საპირისპიროს?**

რაო, ვითომ მინიმუმ საუკუნის წინანდელ მამებს ბაძავს, მემკვიდრეები რომ ძალიან კი უყვარდათ, მაგრამ სახალხოდ ამის — „სისუსტის“ — გამჟღავნებას ერიდებოდნენ და შვილებს „მტრულად“ ზრდიდნენ?

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, „სამშობლოდაკარგულებმა“ (ვინც თავის დროზე თავისივე შემოსავლებით აგებული გამომცემლობიდან შარშანწინ უბოდიშოდ გამოგვყარესძ ბევრჯერ ვიგრძენით მისი (ხელისუფლების — დიდიან-პატარიანადძ „მამობრივი“ მზრუნველობა.

**რაც ამისთვის იგი (ხელისუფლება — დიდიან-პატარიანად) ჩვენ, „სამშობლოდაკარგულებს“, კეთილი სიტყვა-გრძნობებით მოგვიხსენიებია და ახლაც მოვიხსენიებთ, სულ უდანაკარგოდ მისვლოდეს მას „ვიწრო წრეში“.**

დაბოლოს: ახლა გინდ შეიტანეთ და გინდ გამოიტანეთ თქვენი რუმბივით გაბერებული ფალავანიო, ხომ გახსოვთ, „ბაში-აჩუკიდან“?

**ჰოდა, ამისი არ იყოს, ახლა გინდ საჯაროდ იკითხეთ და გინდაც „ვიწრო წრეში“ ქართული პრესა, ბატონებო, ამით ჩვენ არა დაგვაკლდეს (მომატებაზე ლაპარაკი ზედმეტია) რა!**

**რუსლან რუსია**

თვალსაზრისი

# ჯერ კიდევ დაწყებული...

საქართველოში ყველაზე ხანგრძლივად მონარქიული მმართველობა იყო, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს და 1801 წლამდე, რუსეთის მიერ საქართველოს პირველ ანექსიამდე გაგრძელდა. ანექსიას შედეგად მოჰყვა ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება და ბაგრატიონთა დინასტიის მრავალსაუკუნოვანი მმართველობის შეწყვეტა.

1801 წლამდე საქართველოში მონარქიული მმართველობა აბსოლუტური მონარქიის სახეს ატარებდა. საქართველოს აგრესიულ გეოპოლიტიკურ გარემოში უწევდა არსებობა. ქართველი მეფეების მთავარ ამოცანას მუდმივად წარმოადგენდა ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედი რეგიონული სეპარატიზმის, ისე სხვა სახელმწიფოების აგრესიისაგან. ამ ამოცანის შესრულება კი მოითხოვდა სახელმწიფო ხელისუფლების მაქსიმალურ ცენტრალიზაციას, რასაც უპასუხებდა მმართველობის აბსოლუტური მონარქიის ფორმა. თუმცა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, საქართველოს მეფის ხელისუფლება არასდროს ყოფილა დესპოტური ერთმმართველობა. უფრო მეტიც, საქართველოს ისტორიაში იყო მცდელობა მონარქიული მმართველობის სხვა სახეობის შემოღებისა. კერძოდ, მე-12 საუკუნის მიწურულს, დაახლოებით 1185 წელს, თამარ მეფის დროს მოხდა მეფის ერთ-ერთი ვაზირის – მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც სახელმწიფო მმართველობის შეცვლის სავსებით გამოკვეთილი პოლიტიკური პროგრამა წამოაყენა. ყუთლუ-არსლანის პროგრამით გათვალისწინებული იყო წარმომადგენლობითი ორგანოს – „კარავის“ შექმნა, რომელსაც კანონების მიღების და უზენაესი მართლმსაჯულების განხორციელების განსაკუთრებული უფლებამოსილება ექნებოდა, მეფის ხელში კი მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩებოდა. თანამედროვე სამეცნიერო კრიტერიუმების თუ მოვიშველიებთ, ცხადი ხდება, რომ ამ პოლიტიკურ ჯგუფს პარლამენტური მონარქიის დამყარება ჰქონდა განზრახული. ეს ისტორიული ფაქტი საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც იმდროინდელ მსოფლიოში არც იდეის და მით უმეტეს, არც პრაქტიკის თვალსაზრისით პარლამენტურ მონარქიას ანალოგი არ მოეძებნება. ინგლისში, რომელიც პარლამენტარიზმის აკვნად ითვლება, „თავისუფლების დიდი ქარტია“ ზემოაღნიშნული ფაქტიდან მხოლოდ 30 წლის შემდეგ, 1215 წელს მიიღეს, ხოლო პირველი პარლამენტი – 80 წლის შემდეგ, 1265 წელს შეიქმნა. რაც შეეხება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების ცნობილ თეორეტიკოსებს ჯ. ლოკს (ინგლისი) და შ. მონტესკიეს (საფრანგეთი), ისინი ამ ფაქტიდან თითქმის ოთხი საუკუნის შემდეგ დაიბადნენ.

მართალია, ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა არ განხორციელებულა, ორივე მხარემ დათმო: ყუთლუ-არსლანი არ დაუსჯიათ, ხოლო დიდგვაროვანთა ცალკე „კარავი“ უარყოფილი იქნა, მაგრამ სამეფო ხელისუფლებისა და ყუთლუ-არსლანის მომხრეთა შორის მომხდარი შეთანხმების თანახმად, მეფის ხელისუფლება შეიზღუდა დარბაზის „თანაზიარობითა და ერთნებობით“, ე.ი. ქვეყნის მართვა-გამგეობას მეფესთან ერთად დარბაზიც ახორციელებდა. რადგანაც აქ მეფის ხელისუფლების მხოლოდ გარკვეული შეზღუდვა მოხდა და მას არ მოჰყოლია ხელისუფლების რაიმე სახით დანაწილება მონარქსა და დარბაზს შორის, ამიტომ სახელმწიფო მმართველობაში განხორციელებული ეს ცვლილება არ შეიცავს დუალისტური მონარქიის ნიშნებს. საქართველოში კვლავ აბსოლუტური მონარქიული მმართველობა გაგრძელდა, ოღონდ მეფის ხელისფლების გარკვეული შეზღუდვით.

1801 წლიდან საქართველო იძულებით იქნა ინკორპორირებული რუსეთის იმპერიაში, რომელიც თავის მხრივ, მონარქიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამდენად, ქართველ ერს საკუთარი სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ, უცხო ქვეყნის მონარქიულ სახელმწიფოში მოუწია არსებობა 1917 წლამდე, როდესაც რევოლუციების შედეგად რუსეთის მონარქია დაემხო.

1918-1921 წლებში საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის თანახმად, „დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა“. მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას არ მოჰყოლია მონარქიული მმართველობის აღდგენა. პირიქით, სახელმწიფოს მმართველობის ფორმად განისაზღვრა რესპუბლიკური წეს-წყობილება. უფრო მეტიც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციით მმართველობის ამ ფორმის არჩევამ კიდევ უფრო კატეგორიული და ამასთანავე უპრეცედენტო ხასიათი შეიძინა. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პირველ მუხლში სახელმწიფო მმართველობის ფორმის განსაზღვრისას ასეთი დებულებაა გადმოცემული: „მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“. აქ რომ შემთხვევით არ არის გამოყენებული სიტყვები „მუდმივი და უცვლელი“, ე.ი. ის, რაც გადასინჯვას არ ექვემდებარება, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ამავე კონსტიტუციის 148-ე მუხლში გამყარებულ ამკრძალავ ნორმას მოვიშველიებთ. მასში იმპერატიულად არის ნათქვამი: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად“.



აი, რას ამბობდა ამასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პ. საყვარელიძე თავის მოხსენებაში, რომელიც მან დამფუძნებელ კრებას წარუდგინა 1920 წლის 24 ნოემბერს: „მუდმივი არაფერია. მომავალ თაობას შეიძლება ჩვენი კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი არ მოეწონოს, სავსებით ბუნებრივია მათი შესწორება, შეცვლა. მაგრამ ის მუხლი, რომელიც აკანონებს საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას, შეუცვლელი უნდა იყოს. შეიძლება ახალი საზოგადოებრივი წყობა დამყარდეს, ახალი კონსტიტუციაც შემუშავდეს, მაგრამ ეს მუხლი უცვლელად უნდა გადავიდეს ახალ კონსტიტუციაში.“

როგორც ვხედავთ, ჩვენმა წინაპრებმა მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის ფორმად „მარადიული რესპუბლიკა“ დაგვიტოვეს პოლიტიკურ ანდერძად. ამის ახსნა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ იმ პერიოდის დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ, რომლებიც თავგამოდებით ებრძოდნენ რუსეთის ცარისტულ რეჟიმს და მათთვის მონარქიული მმართველობა საერთოდ მიუღებელი იყო, უწინარეს ყოვლისა, იდეოლოგიური თვალსაზრისით.

კონსტიტუციამ სახელმწიფო მმართველობის ფორმად საპარლამენტო რესპუბლიკა დაამკვიდრა, ოღონდ მნიშვნელოვანი თავისებურებებით. მართალია, სახელისუფლებო სტრუქტურები ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე იყო აგებული, მაგრამ სახელმწიფოს მმართველობის სისტემაში არ არსებობდა სახელმწიფოს მეთაურის პოსტი. მის მოვალეობებს გარკვეული თვალსაზრისით ავსებდა მთავრობის თავმჯდომარე, რომელსაც კონსტიტუციის თანახმად ენიჭებოდა „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა“, თუმცა იგი მაინც არ იყო საპარლამენტო რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის ტოლფასი ინსტიტუტი. საპარლამენტო რესპუბლიკის ასეთი ორიგინალური მოდელი სოციალ-დემოკრატების შემოქმედების ნაყოფია. მათგან განსხვავებით ეროვნულ-დემოკრატები საპრეზიდენტო რესპუბლიკის მომხრეები იყვნენ და ამიტომაც აკრიტიკებდნენ პრეზიდენტის ინსტიტუტის ჩანაცვლებას გაფართოებული უფლებამოსილებების მქონე პრემიერით. მაგალითად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გ. გვაზავა დამფუძნებელ კრებაში საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის განხილვისას აღნიშნავდა, რომ აუცილებელი იყო „პრეზიდენტი და პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა. ნ. ჟორდანია კი ცდილობს გამონახოს რაღაც საშუალო, შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც ჯერ არსად ყოფილა. ამით ევროპას ვერ გავაკვირვებთ, საქართველოს კი ზიანს მივაყენებთ“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში 1918 წლიდან 1921 წლის კონსტიტუციის მიღებამდეც შემოღებული იყო სახელმწიფოს მმართველობის რესპუბლიკური ფორმა საპარლამენტო რესპუბლიკის სახით, სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის გარეშე, ე.ი. ისეთი, როგორც ამას 1921 წლის კონსტიტუცია ადგენდა. ამიტომ საფუძველს მოკლებულია ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება, თითქოს ნ. ჟორდანია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი იყო.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მეორე ანექსიის შემდეგ (1921წ.) საქართველოში სოციალისტური ტიპის სახელმწიფო ჩამოყალიბდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახით, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იქნა იძულებით ინკორპორირებული ამ კავშირიდან გასვლის ფორმალური უფლებით. საბჭოთა საქართველოს ოთხივე კონსტიტუცია (1922, 1927, 1937, 1978 წ.წ.) ხელისუფლების ერთიანობის პრინციპზე იყო აგებული, მართალია, ძირითადი კანონებით განსაზღვრული იყო საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების ფუნქციონირება, მაგრამ ამავე კონსტიტუციებით საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ბირთვს კომპარტია წარმოადგენდა, რომელიც მოქალაქეთა ერთადერთი პოლიტიკური გაერთიანება იყო იმდროინდელ პოლიტიკურ სისტემაში. მისი გადაწყვეტილებები სავალდებულო იყო შესასრულებლად ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოსა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის. ამიტომ ხელისუფლების დანაწილება ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ფიქცია იყო.

მმართველობის ფორმისა და პოლიტიკური რეჟიმის გათვალისწინებით, საქართველო 1921-1990 წლებში ტოტალიტარულ რესპუბლიკას წარმოადგენდა (ტერმინი „რესპუბლიკა“ აქ გამოყენებულია მხოლოდ როგორც „მონარქიის“ ანტიპოდი).

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველომ კვლავ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. აუცილებელი გახდა სახელმწიფო ხელისუფლების რეფორმირება. გარდამავალ პერიოდში ხელისუფლება შეუდგა, ერთი მხრივ, 1978 წლის საბჭოური კონსტიტუციის მოდერნიზებას, ხოლო, მეორე მხრივ, 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე ახალი ძირითადი კანონის მომზადებას.

1978 წლის საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის შედეგად, ქვეყნის მმართველობა საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმით ჩამოყალიბდა, ოღონდ პრეზიდენტის ინსტიტუტის გარეშე, ანუ, დაახლოებით ისეთი სახით, როგორც ეს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით იყო განსაზღვრული. ამ მოდელის უდავოდ ნაკლოვანი მხარე მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფოს არ ჰყავდა მეთაური, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ამ ხარვეზს მთავრობის თავმჯდომარის, ხოლო 1978 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის გაზრდილი უფლებამოსილებებით ავსებდა. მაგრამ, საბოლოო ანგარიშში, ეს ინსტიტუტები სახელმწიფოს მეთაურის მხოლოდ სუროგატს წარმოადგენდნენ.

ამ ხარვეზის შესავსებად 1991 წლის 14 აპრილს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელდა ცვლილებები რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების მიზნით. კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად საქართველო ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა გახდა საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის მსგავსად. მმართველობის ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებისათვის დამახასიათებელი მექანიზმების ერთგვარ სიმბიოზს წარმოადგენს. მართალია, ნახევრადსაპრეზიდენტო რესპულიკის დროს პრეზიდენტის ინსტიტუტი საკმაოდ ძლიერია, მაგრამ ამასთანავე, არსებობს ძლიერი მთავრობის მეთაურიც. მთლიანად მთავრობა უნდა სარგებლობდეს პარლამენტის ნდობით. პრეზიდენტის მიერ პარლამენტისა და მთავრობის დათხოვნის შესაძლებლობა უაღრესად მოქნილს ხდის ამ მოდელს.

კონსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე, 1991 წელს 26 მაისს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ და გახდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი.

1991 წლის მიწურულს საქართველოში შექმნილი მწვავე პოლიტიკური კრიზისი შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა, რასაც მოჰყვა კანონიერად არჩეული ხელისუფლების ძალით დამხობა და სახელმწიფო გადატრიალება. ხელისუფლებას არალეგიტიმური სამხედრო საბჭო დაეუფლა, რომელმაც შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება, დაითხოვა უზენაესი საბჭო და სახელმწიფო მართვის სტრუქტურები დაიქვემდებარა. საქართველოში დამყარდა სამხედრო დიქტატურა.

1992 წლის 6 ნოემბერს ახლადარჩეულმა პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რომელსაც საქართველოში ახალი კონსტიტუციის მიღებამდე უნდა განესაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება, მათი მოწყობისა და საქმიანობის წესი. გ. გვაზავას სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ კიდევ ერთხელ შევეცადეთ ევროპის გაკვირვებას, რადგანაც დღემდე გამოცანად რჩება, სახელმწიფოს მმართველობის რომელ სისტემას ამკვიდრებდა „სახელმწიფოს ხელისუფლების შესახებ“ კანონი. ამ კანონის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი შედგებოდა მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებისა და პარლამენტის თავმჯდომარისაგან, რომელსაც უშუალოდ ირჩევდა ხალხი. შემდეგ, პარლამენტი ორი მესამედის უმრავლესობით ირჩევდა პარლამენტის თავმჯდომარეს სახელმწიფოს მეთაურად, თუმცა იგი პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს ინარჩუნებდა. პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური ამასთანავე იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიც. ერთი სიტყვით, ეს იმდენად უპრეცედენტო რამ იყო, რომ იგი სახელმწიფოს მმართველობის ფორმებისა თუ სახეობების დღემდე ცნობილ საკლასიფიკაციო კრიტერიუმებს საერთოდ არ ექვემდებარება. ამიტომ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, საქართველოში 1992-1995 წლებში სახელმწიფოს მმართველობის რა მოდელი არსებობდა.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველომ ახალი კონსტიტუცია მიიღო. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში იგი რიგით მეორე ძირითადი კანონია. ახალი კონსტიტუციით მმართველობის საპრეზიდენტო სისტემა დამყარდა. ამ სისტემის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც უშუალოდ ირჩევს ხალხი, არის სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. მინისტრთა კაბინეტი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, კოლეგიური და პასუხისმგებელი რგო-

# XII საუკუნეში

## სახელმწიფოს მმართველობის ფორმები და მონარქიის აღდგენის პერსპექტივები საქართველოში

ლი, არ არსებობს. მთავრობა პრეზიდენტის მხოლოდ სათათბირო ორგანოა და მის წინაშეა პასუხისმგებელი. პრეზიდენტს გააჩნია ფართო უფლებამოსილებები, მაგრამ არა აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტი. სახელმწიფოს მმართველობის ეს მოდელი მრავალი ნიშნის მიხედვით ძალზედ წააგავდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს მმართველობის სისტემას, რომელიც წმინდა, ანუ კლასიკური საპრეზიდენტო რესპუბლიკის სახელითაა ცნობილი.

სახელმწიფოს მმართველობის საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი, რომელიც ამ კონსტიტუციით იყო დადგენილი, საბოლოო ანგარიშში, არაეფექტიანი გამოდგა გარდამავალ პერიოდში მყოფი ახალი დემოკრატიის ქვეყნისათვის. ამის ნათელი დადასტურება იყო 2003 წლის ნოემბერში საქართველოში სახელისუფლებო კრიზისი, რომლის შედეგად სახელმწიფოს მეთაური პოსტიდან გადადგა, ხოლო 2004 წლის 6 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით საპრეზიდენტო მმართველობა ნახევრადსაპრეზიდენტო, შერეული ტიპის მმართველობით შეიცვლა. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემაში თავისი ადგილი დაიკავა საქართველოს მთავრობამ, როგორც კოლეგიურმა ორგანომ, ქვეყნის პრეზიდენტი გათავისუფლდა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის მოვალეობებისაგან, იგი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურია. მთავრობა პასუხისმგებელია როგორც პარლამენტის, ისე პრეზიდენტის წინაშე. ამასთანავე, პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა და დაითხოვოს პარლამენტი.

მართალია, ქვეყანა საპრეზიდენტო მმართველობიდან ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობის მოდელზე გადავიდა, მაგრამ კონტროლისა და შეკავების მექანიზმები ისე ჩამოყალიბდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს შორის ბალანსი აშკარად პრეზიდენტის ძალაუფლების სასარგებლოდ დაირღვა. ამის გამო საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების როლი და მნიშვნელობა საგრძნობლად დაკნინდა, რაც მორიგი პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

ამრიგად, საქართველოს ისტორიაში სახელმწიფოს მმართველობის თითქმის ყველა ფორმა და მათი სახეობები იყო გამოყენებული. რესპუბლიკური მმართველობიდან გამოიცადა მისი ყველა სახეობა: საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო (შერეული), საპარლამენტო მმართველობა. მონარქიული მმართველობიდან კი მხოლოდ მისი ერთ-ერთი სახეობა – აბსოლუტური მონარქია. რაც შეეხება პარლამენტურ მონარქიას, მისი გამოყენების პრაქტიკა ჩვენ ქვეყანას არ გააჩნია.

საქართველოში მმართველობის რესპუბლიკური ფორმის ყველა სახეობის მონაცვლეობა უკანასკნელი ჩვიდმეტი წლის მანძილზე მოხდა, რაც დამახასიათებელია ტრანსფორმირებადი ქვეყნისათვის, რომელიც ტოტალიტარული (სოციალისტური) რეჟიმიდან გამოსვლასა და დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლას ცდილობს.

სახელმწიფოს მმართველობის ფორმის სახეობათა ასეთი ხშირი ცვლილება ქვეყნის ისტორიის უაღრესად მოკლე პერიოდში, ჩვენი აზრით, გამოწვეულია სახელმწიფოს მმართველობის ინსტიტუტის შესაძლებლობების გადაჭარბებული გაგებით, მასზე იმ ამოცანების დაკისრებით, რომელთა გადაჭრაც მხოლოდ მმართველობის თუნდაც ყველაზე დემოკრატიული სისტემის შემოღებით შეუძლებელია. არსად მომხდარა, რომ სახელმწიფოს მმართველობის ფორმის თუ მისი სახეობების შეცვლას (თუნდაც ყველაზე დემოკრატიულით) მყისიერად გამოეწვიოს საყოველთაო კეთილდღეობა, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და დემოკრატიული წყობილების დამყარება. მსოფლიოს სახელმწიფოთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზემოაღნიშნული ამოცანების წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია როგორც რესპუბლიკური (საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო, საპარლამენტო) ასევე მონარქიული (პარლამენტური მონარქიის) მმართველობის პირობებში. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მმართველობის ფორმები და სახეობები განსხვავებულია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იტალიაში (საპარლამენტო რესპუბლიკები), აშშ და არგენტინაში (საპრეზიდენტო რესპუბლიკები), დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში (პარლამენტური მონარქიები), ამ ქვეყნებში დამკვიდრებულია დემოკრატიული სახელმწიფო რეჟიმი. მაშასადამე, მთავარია სახელმწიფოს მმართველობის სისტემა იყოს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებული, ხოლო თუ რა ფორმის ან სახეობის იქნება იგი, ეს სხვადასხვა ფაქტორებთან




ერთად დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებებზე.

იმის გამო, რომ საქართველოში, როგორც ეს უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რესპუბლიკური მმართველობის ყველა სახეობა გამოიცადა და მან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, კერძოდ, ვერ უზრუნველყო ქვეყნის სტაბილური, მდგრადი განვითარება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კონსტიტუციით დადგენილი წესით, არჩევნების გზით მონაცვლეობა, ტერიტორიული მთლიანობა, ხალხის კეთილდღეობა, ადამიანის უფლებების დაცვა და ა.შ., საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება ქვეყანაში პარლამენტური მონარქიის შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ.

ამ იდეას მხარი დაუჭირა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II და ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, აგრეთვე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის არგუმენტები, რომლებიც საქართველოში მონარქიული მმართველობის (რა თქმა უნდა, პარლამენტური მონარქიის) აღდგენის სასარგებლოდ შეიძლება იქნას გამოყენებული.

საქართველოში მონარქიის აღდგენა, უწინარეს ყოვლისა, იქნება ისტორიული სამართლიანობის აღდგენა. ქართველ ხალხს არასოდეს უთქვამს უარი მონარქიულ მმართველობაზე. ამ საკითხზე საქართველოში რეფერენდუმი არ ჩატარებულა და შესაბამისად, არც ხალხის ნება გამოხატულა იმ ფორმით, რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა ექნებოდა. საქართველოში მონარქიული სახელმწიფოებრიობა გაუქმდა უცხო ქვეყნის – რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიისა და ანექსიის შედეგად. ამიტომ მონარქიული მმართველობის აღდგენა გარკვეულ სამართლებრივ კავშირს აღადგენდა დღევანდელ და 1801 წლამდე არსებულ ქართულ სახელმწიფოებრიობას შორის, შექმნიდა ქართული სახელმწიფოებრიობის უწყვეტობის განცდას.

მონარქიის აღდგენის შემთხვევაში აღარ იქნება სახელმწიფოს მეთაურის – პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც ავტორიტარულ მმართველობაში გადაზრდის მომეტებულ საფრთხეს შეიცავს. ჩვენ ქვეყანაში კონსტიტუციით დადგენილი წესით, არჩევნების გზით პრეზიდენტის შეცვლის პრეცედენტი ჯერ არ ყოფილა. პრეზიდენტის შეცვლას წინ უძღოდა სამოქალაქო ომი, სახელმწიფო გადატრიალება და რევოლუცია.

პარლამენტური მონარქიის დროს სახელმწიფოს მეთაური მონარქია, რომელიც უვადოდ იკავებს ამ პოსტს და მისი შეცვლა შეიძლება მხოლოდ ტახტის მემკვიდრეობის წესით. ამასთანავე, ტახტის მემკვიდრეს, მომავალ მონარქს ყოველმხრივ ამზადებენ სახელმწიფოს მართვისათვის, ზრდიან ეროვნული სულისკვეთებითა და ქვეყნისადმი თავდადებული სამსახურისათვის. მონარქი არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ ცვლილებებზე და უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის მემკვიდრეობითობას. მონარქი უშუალოდ არ ახორციელებს მმართველობას, მას ძირითადად მორალური გავლენა აქვს ხელისუფლებაზე. რეალურად ქვეყანას მართავს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და პარლამენტში უმრავლესობის მქონე მთავრობა. მონარქი დგას პოლიტიკურ და პარტიულ უთანხმოებებზე მაღლა და ასრულებს ნეიტრალური არბიტრის როლს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. გამომდინარე აქედან, პარლამენტური მონარქიის პირობებში გამორიცხულია სახელმწიფოს მეთაურის დიქტატორულ ან ტირანულ მმართველად გადაქცევა. პირიქით, სახელმწიფოს მეთაური – მონარქი მოწოდებულია არ დაუშვას რომელიმე პოლიტიკური ძალის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ მითვისება.

მონარქი ერისა და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოა. სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამომრჩეველთა უმრავლესობის ნების საფუძველზე იქმნებიან, მონარქი წარმოადგენს მთელ ერს, მთელ ხალხს, თითოეულ მოქალაქეს, მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა და პოლიტიკური შეხედულებებისა. ამდენად, მონარქი ერის კონსოლიდაციისა და მთლიანობის გარანტია.

პარლამენტური მონარქიის პირობებში მეტი შესაძლებლობებია ქვეყნის ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ერთიანი სამეფოს ფარგლებში თანაარსებობისათვის, ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისა და სეპარატისტული ტენდენციების დაძლევისათვის, რაც მეტად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის, რომელსაც ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არა აქვს და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია სრულად არ აღუდგენია.

მონარქია თვალსაჩინოდ განასახიერებს ეროვნული სახელმწიფოებრიობის იდეას. იგი უზრუნველყოფს ეროვნული ტრადიციების, ენისა და სარწმუნოების, კულტურული მემკვიდრეობისა და საერთოდ ეროვნული თვითმყოფადობის დაცვასა და შენარჩუნებას. ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მცირერიცხოვანი ერებისათვის თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში.

როგორც ვხედავთ, საქართველოში პარლამენტური მონარქიის შემოღებას შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს სახელმწიფოს მმართველობის სისტემის შემდგომ სრულყოფასა და სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური პრობლემების გადაჭრაში. ამასთანავე, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მონარქიის აღდგენა ისევე იოლი საქმეა, როგორც, მაგალითად, საპრეზიდენტო რესპუბლიკის ნაცვლად საპარლამენტო რესპუბლიკის შემოღება. საპრეზიდენტო რესპუბლიკის საპარლამენტოთი შეცვლა სახელმწიფოს მმართველობის ერთი ფორმის – რესპუბლიკის შიგნით ერთი სახეობიდან მეორეზე გადასვლას ნიშნავს, ამიტომ რესპუბლიკური მართვა-გამგეობისათვის დამახასიათებელი ზოგადი ასპექტები არ იცვლება და ძალაში რჩება. შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება და საზოგადოებრივი ცნობიერება გარკვეული მოთმინებით ხვდება ასეთ რეფორმებს. რაც შეეხება რესპუბლიკის მონარქიით შეცვლას, ეს უკვე სახელმწიფოს მმართველობის ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლას ნიშნავს და სახელმწიფოს მმართველობის ისეთ ღრმა, თვისებრივ ცვლილებებთან არის დაკავშირებული, რომ მისი წარმატებით განხორციელება გარკვეულ დროსა და საზოგადოებრივი ცნობიერების სათანადო მომზადებას მოითხოვს. გავიხსენოთ თუნდაც უკუპროცესი, კერძოდ, რამდენი დრო და რევოლუციები დასჭირდა სხვადასხვა ქვეყანაში აბსოლუტური მონარქიების დამხობასა და მათ შეცვლას რესპუბლიკური მმართველობით.

იმ ქვეყნებში კი, სადაც პარლამენტური მონარქიები დღემდე შემორჩენილია და წარმატებით ასრულებენ სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობის ფუნქციებს, სახელმწიფო ხელისუფლების რეფორმირება განხორციელდა, ერთი მხრივ, აბსოლუტური მონარქიის შეზღუდვისა და მეორე მხრივ, ხალხის ძალაუფლების გაძლიერების მეოხებით, ე.ი. სახელმწიფოს მმართველობის ფორმა კი არ შეიცვალა, არამედ – ერთი ფორმის შიგნით მისი სახეობა. შედეგად, მონარქიული მმართველობა გახდა დემოკრატიული, ხალხისათვის მისაღები და გააგრძელა არსებობა. საზოგადოების ცნობიერებაში ეროვნული სახელმწიფოებრიობა, სახელმწიფო ხელისუფლების სტაბილურობა და მონარქიული მმართველობა მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს და თაობების აღზრდაც სწორედ ამ რეალობაში და ამ სულისკვეთებით მიმდინარეობს.

ქართველი ერის თანამედროვე თაობას ძალზედ დიდი დრო აშორებს ქართული მონარქიული სახელმწიფოსაგან. 1801 წლიდან თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ჩვენ ქვეყანაში მრავალი თაობა აღიზარდა არა მარტო საკუთარი სახელმწიფოებრიობის განცდის გარეშე, არამედ მონარქიისადმი შეურიგებელი იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში (განსაკუთრებით ბოლშევიზმის პერიოდში). ამიტომ ქართული ეროვნული ცნობიერება არა გვგონია დღეს მზად იყოს რესპუბლიკასა და მონარქიას შორის არჩევანის გასაკეთებლად ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას ხელს შეუშლის აგრეთვე ქვეყანაში ამჟამად არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. შეუძლებელია მონარქიის შემოღება იმ ქვეყანაში, სადაც სიღარიბის დაძლევა ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი სახელმწიფოებრივი ამოცანაა. ხელისშემშლელი გარემოებაა აგრეთვე ისიც, რომ ჯერჯერობით არ არის დადგენილი და კვლავ საკამათოა ბაგრატიონთა დინასტიიდან ვინ შეიძლება გახდეს მონარქი საქართველოში პარლამენტური მონარქიის შემოღების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული ხელისშემშლელი გარემოებების დაძლევა, რასაკვირველია, შეიძლება, თუმცა იგი დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. მთავარია, არსებობდეს ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა თანხმობა ამ საკითხში და ამის შესაბამისად ტარდებოდეს მიზანმიმართული ღონისძიებები სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, რათა ხალხი დარწმუნდეს, რომ მონარქიული მმართველობის შემოღება ხელს შეუწყობს ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტას. ამის შემდეგ, არჩევანი რესპუბლიკასა და მონარქიას შორის თავად ხალხმა უნდა გააკეთოს რეფერენდუმით, რადგან სახელმწიფოს მმართველობის ფორმის შეცვლა, ვფიქრობთ, არ შეიძლება იყოს მხოლოდ პოლიტიკური პარტიების, თუნდაც არჩევნებში გამარჯვებულის, გადასაწყვეტი საკითხი.

ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი საქართველოში XII საუკუნეში დაწყებული პარლამენტური მონარქიის შემოღების მცდელობის დასრულება XXI საუკუნეში.

**ჯონი ხეცურიანი,**

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

09.02.09

საქმე № 2/3352-07

# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

## საქართველოს სახელით

### პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ

5 თებერვალი 2009 წელი ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის**

**მოსამართლე – თამარ ჩიხლაძე**

**მოსარჩელე** – სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L International"-ი
**მოპასუხე** – შპს „ალბა", შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტი"
**დავის საგანი** – დავალიანების გადახდა და დაგირავებული ქონების რეალიზაცია
სასამართლომ განიხილა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია სამოქალაქო საქმე სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L International~-ის სარჩელისა გამო შპს „ალბა"-სა და შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტი"-ს მიმართ დავალიანების გადახდისა და დაგირავებული ქონების რეალიზაციის თაობაზე.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ 2003 წლის 18 ივნისს სს „საქართველოს ბანკის" ცენტრალურ ფილიალსა და შპს „ალბას" („მოპასუხე") შორის გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება (სესხის თანხა – 60 000 (სამოცი ათასი) აშშ დოლარი, საპროცენტო განაკვეთი წლიური 16%, ვადა – 2003 წლის 5 დეკემბრამდე). ამავე დღეს ბანკის წინაშე მსესხებლის – შპს „ალბას" საკრედიტო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფად სს „საქართველოს ბანკის" ცენტრალურ ფილიალსა და საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L International"-ს („მოსარჩელე") გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება და გაიცა თავდებობა.

ზემოაღნიშნული თავდებობის მიღების მიზნით თავის მხრივ 2003 წლის 18 ივნისს მოსარჩელეს, შპს „ალბას", შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტს" და მოქ. ნინო გოგლიძეს შორის გაფორმდა და ნოტარიულად დამოწმებულ იქნა სათავდებო-საგირავნო-საიპოთეკო ხელშეკრულება (რეესტრის რეგ. 1-4496), რომლითაც უზრუნველყოფილ იქნა მოსარჩელის მოთხოვნები მის მიერ კრედიტორის – სს „საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალის მიერ თავდებობის გამოყენების შემთხვევაში მთლიანი მოცულობით (მსესხებლის – შპს „ალბას" დაუბრუნებული სესხი, მასზე დარიცხული პროცენტი, შესაძლო პირგასამტეხლო და შეუსრულობლობით გაწეული ხარჯები).

2004 წლის 20 იანვარს სს „საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალსა და შპს „ალბას" შორის გაფორმდა ახალი საკრედიტო ხელშეკრულება (სესხის თანხა – 63 920 (სამოცდასამი ათას ცხრაას ოცი) აშშ დოლარი, საპროცენტო განაკვეთი წლიური 18%, ვადა – 2003 წლის 20 ივლისამდე. ამ ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული თანხით მსესხებელმა დაფარა 2003 წლის 18 ივნისის საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკრედიტო დავალიანება 2004 წლის 20 იანვრის მდგომარეობით:

ძირითადი სესხი – 30 000 (ოცდაათი ათასი) აშშ დოლარი;
დარიცხული პროცენტი:
2003 წლის 25 აგვისტო – 867.94 აშშ დოლარი;
2003 წლის 23 სექტემბერი – 762.74 აშშ დოლარი;
2003 წლის 23 ოქტომბერი – 789.04 აშშ დოლარი;
2004 წლის 20 იანვარი –1 500.28 აშშ დოლარი;
სულ 3 920 აშშ დოლარი.

შესაბამისად 2004 წლის 20 იანვარს გაფორმდა გირავნობის ხელშეკრულება და თავდებობა, ხოლო 2004 წლის 19 თებერვალს შევიდა და ნოტარიულად დამოწმებულ იქნა შესაბამისი ცვლილება 2003 წლის 18 ივნისის სათავდებო-საგირავნო-საიპოთეკო ხელშეკრულებაში.

2003 წლის 18 ივნისის სათავდებო-საგირავნო-საიპოთეკო ხელშეკრულების თანახმად თავდებობა უზრუნველყოფილი იყო შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტის" კუთვნილი მოძრავი ქონებით - მერსედესის მარკის ავტომანქანების (უნაგირა საწევრები) (შემდგომში „გირავნობის საგანი"):

1. RUS 251 საიდენტიფიკაციო №WDB 954021 310819;
2. RUS 271 საიდენტიფიკაციო №WDB 954021 310654;
3. RUS 258 საიდენტიფიკაციო №WDB 954021 310836;
4. RUS 266 საიდენტიფიკაციო №WDB 954021 310958;
5. RUS 302 საიდენტიფიკაციო №WDB 954021 317580;
6. RUS 315 საიდენტიფიკაციო №WDB 954021 318892;
7. RUS 337 საიდენტიფიკაციო №WDB 954021 321192;

გირავნობით. შესაბამისად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 255 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მოხდა ამ ფაქტის რეგისტრაცია ქ. თბილისის საჯარო რეესტრში (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

2003 წლის 18 ივნისის სათავდებო-საგირავნო-საიპოთეკო ხელშეკრულების დადების თარიღის მდგომარეობით მხარეთა მიერ გირავნობის საგანი შეფასებულ იქნა 105 000 (ასხუთი ათასი) აშშ დოლარად (იმ დღის კურსით 225 750 (ორას ოცდახუთი ათას შვიდასორმოცდაათი) ლარი).

2003 წლის 18 ივნისის სათავდებო-საგირავნო-საიპოთეკო ხელშეკრულების თანახმად ვინაიდან გირავნობის საგანი დარჩა შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტის" მფლობელობაში და საკუთრებაში (შემდგომში „დამგირავებელი"), მან იკისრა შემდეგი ვალდებულება მოსარჩელეს წინაშე:

- არ დაუშვას გირავნობის საგნის ღირებულების შემცირება, ხოლო თუ ასეთი შემცირება მაინც დადგა, შეცვალოს სხვა ქონებით, რომლის ღირებულება არ უნდა იყოს ხელშეკრულებაში მოცემულ ღირებულებაზე ნაკლები;
- კეთილსინდისიერად და დროულად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

გირავნობის საგნის ღირებულების შემცირების ან დაღუპვის რისკი დაეკისრა დამგირავებელს.

გირავნობის ფარგლები მხარეთა შორის განისაზღვრა დაუბრუნებელი კრედიტის, მასზე დარიცხული პროცენტების, შესაძლო პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობის გამო ხარჯების ჩათვლით.

2004 წლის 20 იანვრის საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასესხო დავალიანება მსესხებლის შპს „ალბას" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში - 2004 წლის 20 ივლისს არ იქნა დაფარული და 2004 წლის 20 იანვრის თავდებობის თანახმად მოსარჩელემ 2004 წლის 29 მაისიდან – 2004 წლის 21 ივლისის ჩათვლით სრულად დაფარა საკრედიტო დავალიანება 67 433 (სამოცდაშვიდი ათას ოთხასოცდაცამეტი) აშშ დოლარის და 10 (ათი) ცენტის ეკვივალენტი სს „საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალის წინაშე.

2004 წლის 23 ივლისს №1032 წერილით მოსარჩელემ მიმართა დამგირავებელს და მოითხოვა ზემოაღნიშნული დავალიანების დაფარვა 2004 წლის 20 აგვისტომდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელე აფრთხილებდა დამგირავებელს სასამართლოს მეშვეობით დაგირავებული ქონების რეალიზაციის შესახებ, მაგრამ პასუხი არ მიიღო.

2005 წლის 22 აპრილს მოსარჩელემ მიმართა სს „"საქართველოს ბანკის" ცენტრალურ ფილიალს № 1310 წერილით, რომელზეც 2005 წლის 22 აპრილს მივიღეთ წერილი სადაზღვევო კომპანიის მიერ თავდებობის საფუძველზე შპს „ალბას" მაგივრად ბანკის წინაშე არსებული სასესხო დავალიანების დაფარვის შესახებ.

2007 წლის 19 აპრილს მოსარჩელემ №423 წერილით მიმართა შპს „ალბას" და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 905 – მუხლის თანახმად მოითხოვა მის მიერ ბანკის სასარგებლოდ თავდებობის საფუძველზე გადახდილი თანხის 67 433 (სამოცდაშვიდი ათას ოთხასოცდაცამეტი) აშშ დოლარის და 10 (ათი) ცენტის გადახდა, მაგრამ შპს „ალბას" მხრიდან წერილზე რეაგირება არ მომხდარა.

2007 წლის 30 მაისს მოსარჩელემ №604 წერილით განმეორებით მიმართა დამგირავებელს – შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტს" და მოითხოვა ზემოაღნიშნული თანხის დაფარვა მოსარჩელის სასარგებლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელემ განმეორებით გააფრთხილა დამგირავებელი სასამართლოს მეშვეობით დაგირავებული ქონების რეალიზაციის შესახებ, მაგრამ პასუხი მაინც არ მიიღო.

მოსარჩელეს მიერ გადამოწმებულ იქნა გირავნობის საგნის არსებობა და მისი მესაკუთრის ვინაობა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სამსახურში. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის ცნობის თანახმად გირავნობის საგანი რეგისტრირებულია შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტზე"- დამგირავებელზე.

2007 წლის 22 ივნისის მდგომარეობით ძირითადი დავალიანება მოსარჩელეს წინაშე შეადგენს შეადგენს 67 433 (სამოცდაშვიდი ათას ოთხასოცდაცამეტი) აშშ დოლარის და 10 (ათი) ცენტის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად - ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულების არსებობა.

როგორც აღინიშნა, დადგენილია, რომ მოსარჩელეს, შპს „ალბას", შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტსა" და მოქ. ნინო გოგლიძეს შორის 2003 წლის 18 ივნისს გაფორმდა და ძალაში შევიდა სათავდებო- საგირავნო-საიპოთეკო ხელშეკრულება (2004 წლის 19 თებერვალს მოხდა ცვლილების შეტანა), რომელიც მხარეთა შეთანხმებით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 255-ე მუხლის მე-2 ნაწილის (1997 წლის 26 ივნისის რედაქცია) თანახმად დამოწმდა სანოტარო წესით და დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ძალაში შევიდა, ანუ სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, მხარეთა შორის ვალდებულებები წარმოიშვა.

ამ შემთხვევაში, შპს „ალბას" ვალდებულება გამოიხატებოდა მოსარჩელესათვის სს „საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალისათვის მის მაგივრად გადახდილი სასესხო დავალიანების თანხის მოსარჩელესათვის გადახდაში (სსქ-ს 905-ე მუხლი), ხოლო, თუ შპს „ალბას" მიერ ეს ვალდებულება არ იქნებოდა შესრულებული, დადგებოდა მოსარჩელეს სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესი უფლება, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა (თანხის გადახდა და ა.შ.) შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტის" მიერ მის სასარგებლოდ დაგირავებული ქონების ხარჯზე (სსკ-ს 254-ე მუხლის პირველი პუნქტი).

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულების ძალით კრედიტორი (მოსარჩელე) უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს (შპს „ალბას") ნაკისრი ვალდებულების შესრულება. ამ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, დადგენილია, რომ შპს "ალბას" სულ უნდა გადაეხადა 67 433 (სამოცდაშვიდი ათას ოთხასოცდაცამეტი) აშშ დოლარის და 10 (ათი) ცენტი. შესაბამისად, მას გააჩნია დავალიანება მოსარჩელის წინაშე, ანუ, მოსარჩელე, სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად, უფლებამოსილია მოსთხოვოს შპს „ალბას" არსებული დავალიანების დაფარვა.

სამოქალაქო კოდექსის 383-ე მუხლის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაში (სესხის ვალუტა). ამ შემთხვევაში, შპს „ალბას" ფულადი ვალდებულება დადგენილ იქნა უცხოურ ვალუტაში, ხოლო გადახდა უნდა მოხდეს ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღეს დადგენილი საბალანსო კურსზე გაანგარიშებით და ამგვარად ნორმის მოთხოვნა დაცული იქნა.

ვინაიდან შპს „ალბა" არ იხდის დავალიანებას მოსარჩელის წინაშე, მოსარჩელეს აქვს სხვა კრედიტორებთან შედარებით უპირატესი უფლება, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა (თანხის გადახდა და ა.შ.) შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტის" მიერ მის სასარგებლოდ დაგირავებული ქონების ხარჯზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოსარჩელე ითხოვს: შპს „ალბას" დაეკისროს: 2.1.1. 67 433 (სამოცდაშვიდი ათას ოთხას ოცდაცამეტი) აშშ დოლარის და 10 (ათი) ცენტის ეკვივალენტი თანხა ეროვნულ ვალუტაში;

დავალიანების დაფარვის მიზნით. აუქციონზე სარეალიზაციოდ მოსარჩელის სასარგებლოდ მიექცეს გირავნობით დატვირთული შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტის" კუთვნილი მოძრავი ქონება – მერსედესის მარკის ავტომანქანები (უნაგირა საწევრები):

1. RUS 251 საიდენტიფიკაციო №WDB 954021 310819;
2. RUS 271 საიდენტიფიკაციო №WDB 954021 310654;
3. RUS 258 საიდენტიფიკაციო №WDB 954021 310836;
4. RUS 266 საიდენტიფიკაციო №WDB 954021 310958;
5. RUS 302 საიდენტიფიკაციო №WDB 954021 317580;
6. RUS 315 საიდენტიფიკაციო №WDB 954021 318892;
7. RUS 337 საიდენტიფიკაციო №WDB 954021 321192

საჯარო აუქციონზე ექსპერტად დანიშნოთ ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელი.

აღნიშნულ საქმეზე 2009 წლის 5 თებერვალს დანიშნული იყო სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა, სადაც მოსარჩელის წარმომადგენელმა იშუამდგომლა მოპასუხე შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტი"-სათვის, სარჩელის, თანდართული მასალებისა და სასამართლოს სხდომის დღის შესახებ უწყების საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარების თაობაზე.

აღნიშნულ საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2009 წლის 12 მარტს 11:00 საათზე დანიშნულია სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა.

სასამართლომ განიხილა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ მოპასუხე შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტს" სარჩელი და თანდართული მასალები უნდა ჩაბარდეს და ასევე სასამართლოს სხდომის დღის შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტს" სარჩელი და თანდართული მასალები, ასევე სასამართლო უწყება ვერ ბარდება რეგისტრაციის მიხედვით მის მისამართზე – ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა №17. შესაბამისად, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სარჩელისა და სასამართლოს 2009 წლის 12 მარტს 11:00 საათზე მოსამზადებელი სხდომის დღის შესახებ მოპასუხეს ეცნობოს უწყების საჯაროდ გავრცელების გზით, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" მისი პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე მუხლებით და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებულ №2/3352-07 საქმეზე, სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „იმედი L International~-ის სარჩელისა გამო მოპასუხეების შპს „ალბასა" და შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტის" მიმართ, დავალიანების გადახდისა და დაგირავებული ქონების რეალიზაცის თაობაზე, სარჩელის შინაარსი და 2009 წლის 12 მარტს 11:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამეთა კოლეგიის (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) მე-19 დარბაზში დანიშნული მოსამზადებელი სხდომის შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით ეცნობოს მოპასუხე შპს „საქართველოს საგზაო ტრანსპორტს";

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია წერილობით შეადგინოს პასუხი (შესაგებელი) სარჩელისა და მასში დასმულ საკითხებზე და სარჩელზე დართული დოკუმენტების შესახებ მოსაზრებებთან ერთად წარუდგინოთ ისინი სასამართლოს მიღებიდან **10 დღის** ვადაში. მოპასუხის მიერ წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

**1. სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვს პასუხი;**

**მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, ტელეფონი, მათ შორის, მობილური, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი; პასუხში შესაძლებელია მითითებული იქნას საკონტაქტო პირის მონაცემები;**

**ცნობს თუ არა სარჩელს და რა ნაწილში;**

**თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი პასუხი სარჩელის წინააღმდეგ;**

**მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს;**

**რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას;**

**არსებობის შემთხვევაში მოპასუხის შუამდგომლობები;**

**ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ;**

**ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად;**

**რომელი მოწმე უნდა იქნას გამოძახებული სასამართლო სხდომაზე;**

**სხვა სახის შუამდგომლობები;**

**პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;**

**მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი განხილვის მოსაზრების თაობაზე;**

**მოპასუხის წერილობით პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შესაგებელი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.**

**პასუხში სრულყოფილად და თანმიმდევრობით უნდა აისახოს მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით. მოპასუხე ვალდებულია პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპასუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.**

**მოპასუხე ვალდებულია თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ წარუდგინოს სასამართლოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაგებელი უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილ მოთხოვნებს.**

**სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე თავით დადგენილი წესით.**

**მოპასუხეს შეუძლია პასუხის შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი, მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით.**

**პასუხს ხელს აწერს მოპასუხე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.**

**საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის $232^{1}$ მუხლის შესაბამისად მოპასუხის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს მთავარ სხდომას, რის შესახებაც ეცნობება მხარეებს ამ კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.**

2. განემარტოს მხარეს, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

3. განჩინების გამოქვეყნება დაევალოს მოსარჩელე მხარეს საკუთარი ხარჯებით გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა";

4. განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

**მოსამართლე თამარ ჩიხლაძე**

# განცხადება

## „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

***გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ამა წლის 7 თებერვლის №23-ში (გვ. 12-13) გამოქვეყნებულ განცხადებაში – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შესახებ, შეტანილ იქნა ცვლილებები ევროინტეგრაციის, საერთაშორისო ორგანიზაციების, დიპლომატიური პროტოკოლის, პრესისა და ინფორმაციის და საკონსულო დეპარტამენტებში, ვაკანტურ თანამდებობებთან და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:***

ევროინტეგრაციის დეპარტამენტი

| თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო (ლარი) |
|---|---|
| მრჩეველი | 850 |
| I მდივანი | 750 |
| II მდივანი | 650 |

საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი

| თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო (ლარი) |
|---|---|
| დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 1800 |
| გაეროს სამმართველო | |
| III მდივანი | 600 |
| ეუთოს სამმართველო | |
| III მდივანი | 600 |
| ევროსაბჭოს სამმართველო | |
| მრჩეველი | 850 |
| III მდივანი | 600 |

დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი

| თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო (ლარი) |
|---|---|
| დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 1800 |
| ვიზიტებისა და საზეიმო ღონისძიებების დელეგაციებთან მუშაობის სამმართველო | |
| I მდივანი | 750 |
| II მდივანი | 650 |
| ატაშე | 550 |
| დიპლომატიურ კორპუსთან მუშაობის სამმართველო | |
| III მდივანი | 600 |

პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი

| თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო (ლარი) |
|---|---|
| ატაშე | 550 |
| ატაშე | 550 |
| ატაშე | 550 |

საკონსულო დეპარტამენტი

| თანამდებობა | თანამდებობრივი სარგო (ლარი) |
|---|---|
| დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე | 1800 |
| სავიზო ურთიერთობების სამმართველო | |
| მრჩეველი | 850 |
| III მდივანი | 600 |
| III მდივანი | 600 |
| ატაშე | 550 |
| მოქალაქეობისა და სამართლებრივი საკითხების სამმართველო | |
| სამმართველოს უფროსი | 1400 |
| II მდივანი | 650 |
| III მდივანი | 600 |
| საკონსულო-ინფორმაციული სამმართველო | |
| სამმართველოს უფროსი | 1400 |
| მრჩეველი | 850 |
| I მდივანი | 750 |
| ატაშე | 550 |
| საკონსულო ურთიერთობების სამმართველო | |
| მრჩეველი | 850 |
| ატაშე | 550 |

### ევროინტეგრაციის დეპარტამენტი

– **მრჩეველი** – 1 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება; არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისურის); კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

– **I მდივანი** – 1 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1,5 წლის გამოცდილება; არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისურის); კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

– **II მდივანი** – 1 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისურის), კომპიუტერული პროგრამების WINDOWS, WORD, INTERNET ცოდნა.

### საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტი

– **დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე** – 1 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; სპეციალობით ან საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება; არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა; კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

– **მრჩეველი** – 1 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება; არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისურის); კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

– **III მდივანი** – 3 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისურის); კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

### დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი

– **დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე** – 1 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება იურისტის ან სახელმწიფო მართვის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; სპეციალობით მუშაობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება; არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა (სავალდებულოდ ინგლისურის); კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

– **I მდივანი** – 1 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება იურისტის ან სახელმწიფო მართვის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1,5 წლის გამოცდილება; არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა; კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

– **II მდივანი** – 1 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება იურისტის ან სახელმწიფო მართვის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება; არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა; კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

– **III მდივანი** – 1 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება იურისტის ან სახელმწიფო მართვის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა; კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

– **ატაშე** – 1 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება იურისტის ან სახელმწიფო მართვის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით, არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

### პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი

– **ატაშე** – 3 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება, არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

### საკონსულო დეპარტამენტი

– **დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე** – 1 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; სპეციალობით მუშაობის ან საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 4 წლის გამოცდილება; არანაკლებ ორი უცხო ენის (სავალდებულოდ ინგლისურის) საფუძვლიანი ცოდნა; კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

– **სამმართველოს უფროსი** – 2 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება; არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა; კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

– **მრჩეველი** – 3 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება; არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა; კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

– **I მდივანი** – 1 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1,5 წლის გამოცდილება; არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა; კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

– **II მდივანი** – 1 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება; არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა; კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

– **III მდივანი** – 3 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა; კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

– **ატაშე** – 3 საშტატო ერთეული
უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო სამართალმცოდნეობის ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით; არანაკლებ ორი უცხო ენის საფუძვლიანი ცოდნა; კომპიუტერული პროგრამების (WINDOWS, WORD, INTERNET) ცოდნა.

განახლებული განცხადება შეგიძლიათ იხილოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.mfa.gov.ge ასევე, საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე: www.psb.gov.ge

თბილისის „დინამო“



# ახალი სპონსორით და ოთხი დებიუტანტით

**განახლებულ ეროვნულ ჩემპიონატს საქართველოს ყველაზე პოპულარული კლუბი თბილისის „დინამო“ მნიშვნელოვანი სიახლეებით შეხვდა.**

უპირველესად, გაუწყებთ, რომ დილმელთა ერთ-ერთი სპონსორი ამიერიდან ცნობილი ავსტრიული ფირმა „იუ – სპორტი“ იქნება, რომელიც გახლავთ ნოვატორი თანამედროვე სპორტულ მედიცინაში. მისი მომსახურებით სარგებლობენ იტალიის სერია-ა-ს, გერმანიის ბუნდესლიგის, ესპანეთის პრიმერადივიზიონის, ჰოლანდიის ერედივიზიონისა და ავსტრიის ბუნდესლიგის წარმომადგენლები. დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი ნუსხაა. დავძენთ, რომ აღნიშნული კონტრაქტის მიხედვით ჩვენი გუნდი მიიღებს ფეხბურთელთათვის საჭირო აღდგენით პრეპარატებს ვიტამინების სახით, გამაყუჩებელ – საანესთეზიო საშუალებებსა და შესახვევ მასალებს.



რაც შეეხება თურქულ შეკრებას, „თეთრ-ლურჯებმა“ უამინდობის გამო საწყისი ერთი კვირა ძირითადად ტაქტიკურ განსწავლულობას დაუთმეს, რამაც სასიკეთო შედეგი გამოღარების შემდეგ გამოიღო: პერმის „ამკართან“ სასტარტო სპარინგის ფრედ – 0:0 დასრულებას ზედიზედ ოთხი გამარჯვება მოჰყვა ლიეპაიას „მეტალურგსთან“ – 3:1, გერმანულ „ბაბელსბერგთან“ – 3:2, სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ – 3:0 და ყაზახურ „ქეტისუსთან“ – 1:0.

დილმის საწვრთნელ ბაზაზე გუშინ მოწვეულ პრესკონფერენციაზე დინამოელთა თავკაცი რაინერ ცობელი შეგირდთა კონდიციებით კმაყოფილებას ვერ მალავდა: „სასიამოვნოა, რომ თითოეულ პოზიციაზე 2-3 სრულფასოვანი კანდიდატი გვყავს, ჯანსაღი კონკურენცია კი, მოგეხსენებათ, ბევრ რამეზე მეტყველებს. ერთადერთი საკითხი, რაც მაღელვებს, ისაა, რომ ახალმა ლეგიონერებმა არ უნდა ჩათვალონ, თითქოს აქაურ ჩემპიონატში თამაში ადვილი იყოს“ – განაცხადა გერმანელმა სპეციალისტმა.

დაბოლოს, ახალწვეულთა შესახებ: ალეკო კოშკაძეს შვიდნომრიანი მაისურა ერგო, შოთა ლომიას – ოცდაათნომრიანი, ჩერნოგორიელ დანილო ტომიჩს – ცხრამეტნომრიანი, ხოლო 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონს, არგენტინელ მარკო ჩარასს – ცამეტნომრიანი.

სამთო თხილამურები

# უიღბლო სტარტი



**საფრანგეთის კურორტ ვალ დიზერში სამთო მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს. სწრაფდაშვებაში ქართველი სპორტსმენები არ მონაწილეობდნენ. ქალებში აქ ჩემპიონობა ამერიკელმა ვონმა მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, შვეიცარიელი გუტი და იტალიელი ფრანკინი გავიდნენ. ვაჟებში კანადელმა კუჩერამ იპირველა. მეორე ადგილი შვეიცარიელ კიუშს ხვდა, მესამეც მის თანაგუნდელ იანკას ერგო.**

გიგანტურ სლალომში სამი ქართველი ასპარეზობდა საკვალიფიკაციო ეტაპზე. იასონ აბრამაშვილმა, ვახტანგ თედიაშვილმა და ჯაბა გელაშვილმა, სამწუხაროდ, დისტანცია ვერ ჩაამთავრეს. ჩემპიონები და პრიზიორები ამ სახეობაში 13 თებერვალს გამოვლინდებიან. მანამდე ქართველი მოთხილამურეები სლალომის საკვალიფიკაციო ეტაპზე გამოვლენ.

ჰოკეი



# „მიმინო“ პირველია

**საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციის ინიციატივითა და სასტუმრო „ემ-ჯი სპორტის“, აგრეთვე, ბორჯომის გამგეობის თანადგომით ბაკურიანში რამდენიმე დღე გრძელდებოდა პირველი საერთაშორისო ტურნირი „ბორჯომის თასზე“.** მთავარი პრიზისთვის მასპინძელთა „მიმინო“, თბილისის კლუბების ნაკრები და სომხეთის ახალგაზრდული ნაკრები იბრძოდნენ. ოთხი შეხვედრიდან სამი მოგებითა და ერთი მარცხით პირველ ადგილზე „მიმინო“ გავიდა. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა და ვერცხლის მედალი თბილისის გუნდს ხვდა, სომეხი სტუმრები მესამეზე გავიდნენ.

ჭიდაობა

# მხოლოდ ერთი „ვერცხლი“



**თურქეთში დამთავრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა მეორე შემადგენლობით იასპარეზა (ძირითადი ბირთვი ზაზა თურმანიძის ხელმძღვანელობით წახკაძორში გადის საწვრთნელ შეკრებას). ჩვენი ფალავნებიდან მხოლოდ მალხაზ ზარქუამ იყოჩაღა – მარტო ფინალური ორთაბრძოლა დათმო და ვერცხლის მედალი ხვდა.**

ელიტა

# „ჩელსი“ — ყველაზე ძვირადღირებული



**გერმანულმა კომპანიამ Transtemarkt შეიმუშავა მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული გუნდების კლასიფიკაცია, რაც დაეფუძნა სადღეისოდ ფეხბურთელების ღირებულებას. სიას თავში მოექცა ლონდონის „ჩელსი“, რომლის მოთამაშეების საერთო ღირებულებამ 410 მილიონ 250 ათასი ევრო შეადგინა. ინდივიდუალურ ჩათვლაში ფეხბურთელთა შორის წინ არიან დროგბა, ლემპარდი და ტერი.**

ინგლისელს სულ ცოტათი ჩამორჩა „ბარსელონა“ – 408,5 მილიონი ევრო. ამ თანხაში მთავარი წვლილი შეიტანეს მესიმ, ეტო ომ, პუოილმა, დანიელ ალვესმა და ანრიმ. მომდევნო ადგილები უჭირავთ „რეალს“, „მანჩესტერ იუნაიტედს“, სადაც დიდი ფინანსური წონა აქვს კრიშტიანუ რონალდუს, აგრეთვე „მილანს“. ამ უკანასკნელს ცოტა ჩამორჩა მისი თანამემამულე „ინტერი“ (შესაბამისად 333 და 316 მილიონიძ.

ინგლისური „ლივერპული“ შეფასდა 271 მილიონ ევროდ. ფრანგული გუნდებიდან ყველაზე ძვირადღირებული „ლიონია“ – 210 მილიონი, რაც თითქმის ორჯერ მეტია „მარსელთან“ შედარებით – 124,5 მილიონი ევრო.

ინტერნეტიდან

## ზვიგენებთან ერთად



**ამერიკელი ჯენიფერ ფიგე ისტორიაში პირველი ქალია, რომელმაც შეძლო ცურვით ატლანტიკის ოკეანის გადალახვა. 56 წლის სპორტსმენს 24 დღე დასჭირდა, რათა ოკეანე მწვანე კონცხიდან ტრინიდადამდე დაეპყრო.**

თუ რა მანძილის გადაცურვა შეძლო მან, ჯერჯერობით ზუსტდება, ქალბატონი ოკეანეში მიცურავდა გალიაში, რომელიც მას ზვიგენებისგან იცავდა. დასაწყისში მოცურავე ხმელეთზე ამოსვლას ბაგამის კუნძულზე გეგმავდა, ახლა მის გეგმაშია ტრინიდადიდან ბრიტანულ ვირჯინიის კუნძულებამდე გადაცურვა.

ის ატლანტიკის ოკეანის გადაცურვას ჯერ კიდევ ბავშვობაში აპირებდა. ეს სარეკორდო გადაცურვა 12 იანვარს დაიწყო მწვანე კონცხიდან, როდესაც ტალღების სიმაღლე 9 მეტრს აღწევდა.

ყოველდღიურად ჯენიფერი წყალში რვა საათს ატარებდა შეუსვენებლად, შემდეგ კი გამცილებელ ნავზე ბრუნდებოდა. ცურვის დროს მას გზაზე ხვდებოდნენ ვეშაპები, კუები, დელფინები, პორტუგალიის სამხედრო ხომალდებიც კი, მაგრამ ზვიგენები არ შეხვედრია.

შეგახსენებთ, რომ 10 წლის წინათ ატლანტიკის ოკეანე მარტოდმარტო გადაცურა ფრანგმა ბენუა ლეკომტმა, 73 დღეში გაცურა რა 6400 კილომეტრი. ფიგე აპირებდა 3380 კილომეტრის გაცურვას სარეკორდო დროში, მაგრამ ძლიერმა ქარმა მას კურსი შეაცვლევინა და ბაგამის კუნძულების ნაცვლად ტრინიდადში აღმოჩნდა.

## ვუდსის ოჯახში მატებაა!

**სახელგანთქმული ამერიკელი გოლფისტის ტაიგერ ვუდსის ოჯახში მატებაა. მისმა ლამაზმანმა ცოლმა, ყოფილმა შვედმა მოდელმა ელინ ნორდეგრენმა მეორე ბავშვი — ამჯერად ბიჭი გააჩინა.**

**2007 წლის 17 ივნისს მათ ქალიშვილი სემ ალექსის ვუდსი შეეძინათ, მისი ფოტოსურათი ტაგერმა თავის ოფიციალურ საიტში მოათავსა.**



როგორც ამბობენ, მომავალ 30-40 წელიწადში დიდ გოლფში ვუდსემის ჰეგემონია გაგრძელდება.

ტაიგერი და ელინი 2004 წელს დაქორწინდნენ, გაცნობიდან სამი წლის შემდეგ. შარშან მარცხენა მუხლის ოპერაციის შემდეგ ვუდსს არცერთ ტურნირში არ უთამაშია, თუმცა მაინც ინარჩუნებს პირველ ადგილს მსოფლიო რეიტინგში. ტაიგერი დიდ გოლფში დაბრუნებას აპრილში აპირებს ტურნირში US Masters. ფიქრობს, რომ კარგ ფორმაში იქნება და კარგადაც ითამაშებს.

**ქ.თბილისის საკრებულო გადაწყვეტილება №1-3**
**27 იანვარი 2009 წელი 09.02.2009წ.**
**040.090.000.36.101.012.758**

**„ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-16 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 28 თებერვლის №2-16 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, მათი სტრუქტურული ერთეულების ან ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. „ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოსა და მის სტრუქტურულ დანაყოფში შექმნილი კომისიების შემადგენლობაში დამატებით უნდა შედიოდეს ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი“.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე zaal samadaSvili**

დაუსწრებელი გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

24 ოქტომბერი 2008 წელი ქ. გურჯაანი

გამოარკვია:

[illegible]

გადაწყვიტა:

[illegible]

გაიხსენება

# შალვა შენგელია



წავიდა ჩვენგან პროკურატურის ორგანოების ღვაწლმოსილი მუშაკი, დამსახურებული იურისტი, შრომის ვეტერანი, ღირსეული პიროვნება და ვალმოხდილი მოქალაქე შალვა ლავრენტისძე შენგელია.

დაიბადა 1925 წლის 16 ივლისს ზუგდიდის მაზრის სოფელ ჭოლაში. 1942 წელს იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1948 წლამდე მუშაობდა კოლმეურნეობაში ბრიგადირად. ამავე დროს იყო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

1945 წელს ჩხოროწყუს რაიკომის რეკომენდაციით ჩაირიცხა თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1953 წელს და დაინიშნა სენაკის პროკურორის თანაშემწედ.

ბატონ შალვას სხვადასხვა დროს უმუშავნია ზუგდიდში, ჩხოროწყუში, მესტიაში, ხონში, რუსთავში, მახარაძესა და სამტრედიაში. იყო სახალხო გამომძიებელი, პროკურორის თანაშემწე, მოადგილე, ათეული წლების განმავლობაში — პროკურორი. 1968 წელს მიენიჭა იუსტიციის უფროსი მრჩევლის წოდება. არჩეული იყო მესტიის, ჩხოროწყუს რაიკომების ბიუროს წევრად, ჩხოროწყუსა და წულუკიძის რაიონული საბჭოების დეპუტატად.

შალვა შენგელია იყო ნამდვილი პროფესიონალი, უშიშარი, სპეტაკი, შრომისმოყვარე, სამართლიანი, მომთხოვნი, ამასთან ობიექტური ხელმძღვანელი. ყველგან დაუმსახურებია უანგარო სიყვარული, უხვად თესდა სიკეთეს. მისი საქმიანობის და პირადი ცხოვრების კრედო იყო ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობა მოვალეობის წინაშე, სამართლიანობა და პატიოსნება.

უმწიკლო და სანიმუშო მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო საკავშირო პროკურატურის სამკერდე ნიშნით — „პროკურატურის საპატიო მუშაკი“, მედლით „შრომის ვეტერანი“. მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება. 2003 წელს ქვეყნის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. 1988 წელს გავიდა საქართველოს რესპუბლიკის პერსონალურ პენსიაზე.

შალვა შენგელიამ დატოვა შესანიშნავი ოჯახი: რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი და ღირსების ორდენოსანი მეუღლე, სამი შვილი და ამდენივე შვილიშვილი.

ბატონი შალვა მიიბარა დედაქალაქის მადლიანმა მიწამ, საიდანაც იგი კვლავ დამცველ ფარად და წინამძღოლად ეიმედებათ მისი წასვლით ღრმად დამწუხრებულ ოჯახსა და ახლობლებს.

მიილია ნაღვლიანი 40 დღე. ცრემლი არ შეშრობიათ და ნაღველი არ განელებიათ ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და მეგობრებს. მრავალჟამიერ მის ნათელ ხსოვნას.

ოჯახი, ახლობლები.

---

ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომლის პროფესორ ნუნუ მაისურაძის მეუღლე

ალექსანდრე ტაბიძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები, თანაგრძნობას უცხადებენ დევი ტაბიძეს მამის

ალექსანდრე ტაბიძის

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეგობრები: ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე, ელენე მანჯგალაძე, ირინე მჭედლიშვილი, ნანა ტატიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უაღრესად თბილი და კეთილშობილი პიროვნება

ალექსანდრე (ალიოშა)ძ ტაბიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება წმიდა ილია მართლის ეკლესიიდან („შანხაი“ძ 12 II, 15 სთ.

---

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, სს „აკ. კ. ვ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ცნობილ ქართველ მეცნიერს, პროფესორ ნინო მაისურაძეს გარდაეცვალა მეუღლე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ალექსანდრე ტაბიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ყურადღება!

2009 წლის 11 მარტს დანიშნულია სს „ავტოშემკეთებელი 2“-ის აქციონერთა მორიგი საერთო კრება, რომელიც ჩატარდება ქ. თბილისში მარჯანიშვილის ქ. №5 გამომცემლობა „საქართველო“ მე-2 სართული, ოთახი 26, დღის 11 საათზე.

დღის წესრიგი:

1. სააქციო საზოგადოების 2008 წლის წლიური ბალანსის განხილვა;
2. სხვადასხვა.

სს „ავტოშემკეთებელი 2“-ის ადმინისტრაცია.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## დავუბრუნოთ ბავშვები ოჯახებს!

ძვირფასო მკითხველო! – გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისთვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.



**შემოგვიერთდით, ერთად გადავარჩინოთ მომავალი, დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**

ფონდი „იავნანა“

**ინფორმაცია**

## დედა-შვილი გლუხოვები ერთმანეთს არ შეხვედრიან

**საქართველოს შს სამინისტრო არ ადასტურებს რუსული მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სერჟანტ ალექსანდრე გლუხოვისა და მისი დედის გალინა გლუხოვას შეხვედრის შესახებ.**

საქართველოს შს სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი შოთა ხიზანიშვილი აცხადებს, რომ რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება.



– ამგვარი შეხვედრა არ შემდგარა, ზუსტად ვიცი, – განაცხადა ხიზანიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სერჟანტი გლუხოვი დედას ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს საზღვარზე შეხვდა.

აღსანიშნავია, რომ რუსული მედია აღნიშნულ ინფორმაციას რუსულ 58-ე არმიაში არსებულ წყაროზე დაყრდნობით აქვეყნებს.

ჯი-ეიჩ-ენი

**გუშინ – დღეისთვის**

# ისტორია გვასწავლის

### არ გაბედოთ, თუ არა!..



**ინგლისში, ელიზაბეთ ტიუდორის მმართველობის დროს (1558-1603წ, სურსათზე ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა, მანუფაქტურის მუშების ხელფასი კი – უმნიშვნელოდ.** ელიზაბეთის მთავრობამ ასეთი მდგომარეობა არანორმალურად მიიჩნია და გამოსცა სპეციალური კანონი, რომლის მიხედვით, ყოველწლიურად, სოფლად და ქალაქად, მოსამართლეები ვალდებული იყვნენ დაეწესებინათ მუშათა ხელფასის რაოდენობა საცხოვრებელი მინიმუმის გათვალისწინებით (მოსამართლეებს სასამართლო საქმეების გარდა სხვა ფუნქციებიც ეკისრებოდათ). საწარმოს მფლობელი მუშას დადგენილ საცხოვრებელ მინიმუმზე ნაკლებ ხელფასს თუ გადაუხდიდა, იგი მკაცრად ისჯებოდა.

### ხელი არ მახლო, თორემ...



**კარლ V (1520-1555წ გერმანიის იმპერატორად მდიდარი კურფიუსტრებისა და განსაკუთრებით კი აუგსბურგელი ვაჭრისა და ბანკირის იაკობ ფუგერის ფულების წყალობით გახდა.** სამაგიეროდ ფუგერმა მიიღო ჰაბსბურგების კუთვნილი მდიდარი საბადოები ალპებში და საქმიანობის სრული თავისუფლება, რაც მან კარგად გამოიყენა უკანონო გამდიდრებისათვის. როდესაც მისი თავგასულობით შევიწროებულმა ხალხმა პროტესტი გამოთქვა, გადაწყვიტეს რაიხსტაგში მიეღოთ კანონები, რომლებიც მსხვილი ვაჭრების შეუზღუდავ პარპაშს ბოლოს მოუღებდა. მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა იოლი არ გამოდგა, იაკობ ფუგერმა, რომელსაც კარგად ჰქონდა შეგნებული თუ როგორ იყო მისგან დავალებული იმპერატორი, კარლ V-ს მუქარით განუცხადა: „ცნობილია, რომ თქვენი აღმატებულება ჩემი დახმარების გარეშე ვერ მოიპოვებდა გვირგვინს, რაც მე შემიძლია დავადასტურო თქვენი რწმუნებულის ხელმოწერით“. ამ განცხადების შემდეგ ფუგერებისათვის ხელი არავის უხლია.

### საკუთარი ჯიბე სულ სხვაა



**საფრანგეთის მეფის ლუი XIV-ის (1643-1715წ კარზე მოღვაწე ფინანსთა გენერალური კონტროლიორი კოლბერი სახელმწიფო მოხელეებს – ინტენდანტებს ავალებდა, მკაცრად ადევნეთ თვალყური ვაჭრებისა და მეწარმეების საქმიანობას, რადგან ისინი მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე ფიქრობენ და არა სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებზე. მხოლოდ სახელმწიფოს აქვს გაცნობიერებული საერთო ინტერესებიო.**

შეკრიბა
**ვაჟა თვალავაძემ**

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

**დაიჯესტი**

## 10 წლის გოგონამ სასამართლოს განქორწინებისთვის მიმართა

**იემენში 10 წლის გოგონამ უკვე გათხოვებაც მოასწრო და განქორწინებაც! სულ ცოტა ხნის წინათ ნეჟუდ ალი ასაკით ყველაზე პატარა განქორწინებული არსება იყო დედამიწაზე. მისი ქორწინების თავი და თავი საკუთარი მამა ყოფილა, საქმრო პირველად საქორწინო ცერემონიალზე უნახავს.** ქვეყნის დედაქალაქ სანადან სოფელში „გაბედნიერებული“ გოგონა, ქმრის მსხვერპლიც გამხდარა – სისტემატიურად ცემდა და აუპატიურებდა. მშობლებთან სტუმრობისას ბავშვმა იმდენი მოახერხა, რომ მალულად სასამართლოს მიმართა. გაოგნებულმა მოსამართლემ ორ დღეში გააფორმა განქორწინების საბუთები.

ამ შემთხვევის გამო იემენში ოფიციალურად გაზარდეს ქორწინების ასაკი – 15-დან 18 წლამდე. კიდევ ორმა გოგონამ, იმავე ქალაქ სანადან შეიტანა საბუთები განქორწინებაზე. მათი ასაკი 9 და 12 წელია!

სტატისტიკის მიხედვით, იემენელ ქალთა 52 პროცენტი 18 წლამდე ასაკში თხოვდება. ექსპერტები თვლიან, რომ კანონით ვერაფერს გახდებიან, თუ ქვეყანაში ძველისძველი, მავნე ტრადიციები არ შეიცვალა.

უცხოური პრესის მიხედვით მოამზადა
**რუსუდან ქოზულიამ**

**ინფორმაცია**



**ანეკდოტები**

მიხო, რომელსაც პირველი შვილი შეეძინა, ნიკასთან ერთად სამშობიაროში მივიდა. ირგვლივ ახალგაზრდა ექთნები ირევიან ბავშვებით ხელში. მიდიან დერეფანში ძმაკაცები, იქით-აქეთ იცქირებიან და ერთმანეთს ელაპარაკებიან:

– მაინც რა კარგები არიან ასეთ ასაკში!

– ჰო, განსაკუთრებით თეთრ ხალათებში!



* * *

დირექტორი საოცრად ცუდ ხასიათზე დაბრუნდა სახლში.

– რა მოგივიდა, რაიმე უსიამოვნება შეგხვდა? – ეკითხება ცოლი.

– სწორედაც! თანამშრომელი, რომელზეც ჯავრს ვიყრი ხოლმე, დღეს სამსახურში არ მოსულა.

* * *

მთავრობის საუკეთესო ანტიკრიზისული პროგრამაა მისი გადადგომა!

* * *

– რა კარგია, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს მეცნიერების დღე!

– ჰო, მაგრამ ცუდი ის არის, რომ მეცნიერება უკვე არა გვაქვს.

* * *

ჭკვიანი კაცი რიტორიკულ კითხვასაც უპასუხებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.